

სამეცნიერო დიალექტოლოგიური სესია გაიხსნება 2008 წლის 14 ნოემბერს, 10:30 საათზე, ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტში (რუსთაველის ქ. № 106).

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი  
მსჯელობა გაიმართება მოხსენებათა მოსმენის შემდეგ

რედაქტორი: **მერაბ ჩუხუა**

©არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**14 ნოემბერი, 10:30 საათი**  
**სესიის გახსნა** (სააქტო დარბაზი)

**მისალმება**, ახალციხის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი  
თ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი

**შესავალი სიტყვა**, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
დირექტორი ლ. ე ზ უ გ ბ ა ი ა

**I სექცია 11 საათი**

სხდომის თავმჯდომარე: **თ. უთურგაიძე**

1. ლ. ე ზ უ გ ბ ა ი ა, ნასახელარი ზმნების წარმოება მეგრულში
2. დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, პირის ნიშანთა ფუნქციური ცხრილი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის
3. მ. ბ ე რ ი ძ ე, ერთი ზმნური ფორმის შესახებ სამცხის ტოპონიმიაში
4. მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ორგანული და არაორგანული კუთვნილების გამოხატვისათვის საშუალო გვარის ზმნებთან ქართველურ ენებში
5. თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, მ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, ნულოვანი ალომორფები ქართულ ზმნაში
6. ლ. შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი, ზმნის პირის ნიშანთა საკითხისათვის ქიზიყურში საგაზეთო მასალის მიხედვით
7. დ. ა ნ ფ ი მ ი ა დ ი, ზმნა, როგორც ასიმეტრიული სემიოტიკური ნიშანი

**II სექცია 11 საათი**

სხდომის თავმჯდომარე: **მ. ჩუხუა**

1. თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, რელატიურ-გარდამავალზმნიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების (ქართლური, კახური) მიხედვით
2. მ. ქ უ რ დ ი ა ნ ი, საერთო-ქართველური ზმნა და ქართველურ ენათა ზმნის სისტემების ისტორიის არსებითი საკითხების ინ-

დუქციური და დედუქციური ინტერპრეტაციები ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით

3. თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, პირიანობა და ვალენტობა ქართულში
4. რ. შ ე რ ო ზ ი ა, ზოგი ახალი წარმოებისათვის მეგრულ მეტყველებებში
5. მ. ქ ა მ ა დ ა ძ ე, ზმნური სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები აჭარაში
6. ნ. გ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი, ზმნათა დიალექტური ფორმები XII-XVIII საუკუნეების სამართლის ძეგლთა ენაში
7. მ. ჩ უ ხ უ ა, ვნებითი გვარის სუფიქსაციის პრობლემისათვის ქართველურ ენებში

#### 14 ნოემბერი,

#### I სექცია 15 საათი

სხდომის თავმჯდომარე: ვ. შენგელია

1. ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, პირის ნიშანთა ფონეტიკური ცვლილების ტიპოლოგიისათვის ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში
2. მ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ზოგიერთი სტრუქტურული მსგავსების შესახებ ქართული და სომხური ენების ზმნის სისტემაში
3. შ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ნასახელარი ზმნები იმერხელში
4. შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, „ვეფხისტყაოსნის“ ზმნათა ზოგი თავისებურებისათვის
5. მ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ზმნის ზოგიერთი თავისებურება ქობულეთურ კილოკავში (მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით)
6. რ. ს ა ღ ი ნ ა ძ ე, ზმნური იმერიზმები
7. თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამოხატვის თავისებურება საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში

#### II სექცია 15 საათი

სხდომის თავმჯდომარე: გ. გოგოლაშვილი

1. გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის დრო-კილოთა სისტემა და მთის კილოთა მონაცემები
2. ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, ზმნისწინისა და თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხისათვის ქვემოიმერულში („შინამრეწველობის მასალების“ მიხედვით)
3. თ. ლ ო მ თ ა ძ ე, თემის ნიშანთა გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებები ქუთაისურ მეტყველებაში
4. ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ერთი კომპოზიტის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანური ენის ზმნურ ფორმებში
5. ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, ერთი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის
6. ნ. ც ე ც ხ ლ ა ძ ე, დ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, ზოგიერთი საერთო-ქართველური სუფიქსი აჭარულში
7. მ. გ ო დ უ ა ძ ე, გრძობა-აღქმის აღმნიშვნელ ზმნათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი

#### 15 ნოემბერი

#### I სექცია, 11 საათი

სხდომის თავმჯდომარე: მ. ბერიძე

1. რ. ჭ ი კ ა ძ ე, ზმნის დრო-კილოთა და დროის ზმნიზედის ურთიერთმიმართებების საკითხისათვის (კახური დიალექტის ტექსტების მიხედვით)
2. ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, თურმეობითა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში
3. ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, მარტივი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები გარეკახურში (სართიჭალური გარეკახური თქმის მიხედვით)
4. ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, საშუალო გვარის ზმნები ქართული ენის დიალექტებში
5. რ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, კვლავ მოდალური ფორმებისათვის სვანურში

6. მ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, მ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ლ ი, პრევერბისა და ასპექტის ურთიერთმიმართებისათვის ქართულსა და ბაცებურში
7. რ. ჭ კ ა დ უ ა, ერთი ტიპის სტატისტიკურ ზმნათა წარმოებისათვის სვანურში
8. ე. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, ქონა-ყოლის გამომხატველი მედიოპასიური ზმნები საშუალო ქართულსა და დიალექტებში

## II სექცია 11 საათი

სხდომის თავმჯდომარე: **დ. მელიქიშვილი**

1. მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნათა უღლების ნიმუშები სვანურში
2. ნ. თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მოქმედების აღმნიშვნელი ტოპონიმები
3. გ. გ ო გ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მრ. რიცხვის  $S_{III}$  პირის ნიშანთა დიფერენციაცია და  $S_2O_3$  ირ. ობიექტური პირის ნიშნების იოტაციის პროცესი ფშაურში
4. ნ. ს ა ა კ ა ძ ე, ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებანი ქვემოქართლურში
5. ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, ნასახელარ ზმნათა შესახებ მეგრულში
6. ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, რამდენიმე მიმართებითი ნაცვალსახელისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა სვანურში
7. ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, რიცხვში ფუქემონაცვლე ზმნები მეგრულში
8. ნ. ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი, ზმნასთან დაკავშირებული რამდენიმე თავისებური მოვლენა ქობულეთურ მეტყველებაში

დ ი ა ნ ა ა ნ ფ ი მ ი ა დ ი (თბილისი)

## ზმნა, როგორც ასიმეტრიული სემიოტიკური ნიშანი

ზმნის, როგორც სემიოტიკური ნიშნის, დახასიათებისას საჭიროა გამოვიყენოთ რამდენიმეგვარი მიმართება:

1) ზმნის ერთგვარი აბსტრაქტული მოდელი, აბსტრაქტული კატეგორია, ანუ პლატონის ენით რომ ვთქვათ, ზმნა, როგორც ზოგადი იდეა, ზოგადი ფორმულა.

ამ ფორმულაში ჩასმული ყოველი ცალკეული მნიშვნელობა წარმოადგენს ცალკეულ ნიშანს, ანუ ზმნის ყოველი ცალკეული ფორმა იქნება დამოუკიდებელი ნიშანი, რომელიც გამომდინარეობს ზმნის აბსტრაქტული ნიშნისგან და სხვა ნიშნებს დაუკავშირდება როგორც ვერტიკალური, ასევე აგრეთვე ჰორიზონტალური მიმართებებით.

2) თითოეული ზმნის ყოველი ცალკეული კატეგორია შეიძლება აგრეთვე ქვენიშნის ფორმით წარმოვადგინოთ, რადგან მას ექნება თავისი საკუთარი აღსანიშნი და აღმნიშვნელი.

ზმნის, როგორც ზოგადი ნიშნის დახასიათებისას, საჭიროა შევქმნათ ერთგვარი ფორმულა, ზოგადი განმარტება, რომელშიც ჩაჯდება ყველა ენის ყველა ზმნის ყველა ფორმა, ანუ ეს იქნება გვარეობრივი დახასიათება ზმნისა, როგორც უნივერსალური ნიშნისა.

გამომდინარე იქიდან, რომ ზმნამ ნებისმიერ ენაში შეიძლება გამოხატოს უამრავი კონტექსტური მნიშვნელობა, მოქმედება, მდგომარეობა, გრძობა, აღქმა, სიტუაცია, და ა.შ., ჩვენს ზოგად დეფინიციაში (იმისათვის, რომ ჩაჯდეს აბსოლუტურად ყველა ცალკეული შემადგენელი), **ზმნას გამოვხატავთ, როგორც დროსა და სივრცეში ფიქსირებად მოვლენას, რომლის განხორციელებაში მონაწილეობენ აქტანტები.** ზმნის მიერ გამოხატული ნებისმიერი შინაარსი აუცილებლად წარმოადგენს მოვლენას, ხოლო ზმნის სპეციფიკურობას, რომელიც პირთა მონაწილეობით განისაზღვრება, აქტანტთა როლით წარმოვადგენთ.

**ე. ი. ზმნის აბსტრაქტული მნიშვნელობა, წარმოადგენს ნიშანს, სადაც აღსანიშნი არის მოვლენა, ხოლო აღმნიშვნელი - პირთა მონაწილეობით გამოხატული ზმნური ფორმა.**

რადგანაც ზემოხსენებულ დეფინიაციაში მხოლოდ სინტაქტიკური წესებია მოცემული, ნიშნის ამგვარი ინტერპრეტაცია ფორმალურ სახეს მიიღებს.

3) ზმნის დასახელებულ ფორმულაში კონკრეტული მნიშვნელობების ჩასმითა და დაკონკრეტებით მივიღებთ ცალკეულ ზმნურ ნიშნებს, სადაც აღსანიშნი — მოვლენა დანაწილდება და განისაზღვრება უფრო ვიწრო და კონკრეტული მნიშვნელობებით და აგრეთვე უფრო კონკრეტულ ფორმას მიიღებს აღმნიშვნელიც, კონკრეტულ ზმნურ ფორმას შეისხამს.

ეს ქვენიშანი ჩაჯდება ზმნის ზოგადი დეფინიციის ქვეშ მოაზრებულ პარადიგმაში და ჰორიზონტალური მნიშვნელობით დაუკავშირდება იმავე ძირის სხვა ზმნურ ფორმებს.

**ამდენად გამოვიდა, რომ არსებობს ზოგადი ზმნური ფორმულა და ქვეზმნური ნიშანთა სისტემები, სადაც ვერტიკალურ კოორდინატთა სისტემაზე განთავსდება ყოველი ცალკეული ნიშნისათვის უნიკალური სემანტიკური მნიშვნელობა, ხოლო ჰორიზონტალურზე — ზმნის ისეთი კატეგორიები, რომლებიც შეიძლება საერთო იყოს სისტემის სხვადასხვა წევრისათვის.**

## მ ე რ ა ბ ბ ე რ ი ძ ე (ახალციხე)

### ერთი ზმნური ფორმის შესახებ სამცხის ტოპონიმიში

ცნობილია, რომ ადგილის სახელად ზმნის პირიანი ფორმა იშვიათად გვხვდება, ხოლო როდესაც ტოპონიმად მაინც გვხვდება ზმნა, მას გამოეცლება ზმნური შინაარსი და იქცევა არსებით სახელად. ასეთ ზმნურ ფორმად მიგვაჩნია **სულთმეწია**.

ქ. ახალციხის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არის სოფლები ღრელი (ყოფილი ლაშინევი) და ჭაჭარაქი. მათ შორის გადის გზა, რომელიც იწყება **ქალიხევის ურავლის წყლის** შესართავთან, ამოივლის სერებს, ყანებს და დაუყვება სოფლამდე. სულთმეწიის გაყოლებაზეა **სულთმეწიყანები** პარალელური ფორმით — **სუოთმეწიები**.

ეს სიტყვა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი სულის მრავლობითი რიცხვია მიცემით ბრუნვაში, ხოლო მეორე — ორპირიანი ზმნა. გზის სიძნელის გამო უნდა შერქმეოდა სახელი სულთმეწია. ფეხით მოსიარულეთათვის **სულის წევა** დალღასთან ასოცირდება.

## თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე (თბილისი)

### პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამოხატვის თავისებურება საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში

1. საშუალო ქართული ზმნის აგებულებით ძირითადად ძველ ქართულ სამწერლობო ენას მიჰყვება. ასეა პირის რიცხვის გამოხატვისასაც. ამ მხრივ საინტერესო ვითარებაა ობიექტთა რიცხვის ზმნაში აღნიშვნისას. აქ გასათვალისწინებელია ორი შემთხვევა: 1) როცა ობიექტი ირიბია; 2) როცა ობიექტი პირდაპირია.

ირიბი ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ გამოიხატება. შესაბამისად, მისი მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები ერთნაირია. ასე იყო ძველ ქართულშიც. ასევე არ გამოიხატება პირდაპირი ობიექტის მრავლობითი რიცხვი, როცა ის მიცემით ბრუნვაში დგას:

„ხრმალსა ლახვარსა ზედა ცეცხლსა დავაგზებ და მაშიგან **შენ** და **ვისი** ორთავე **შეგჭრი**“ (ვისრ., გვ.99); „მე **მეფეთ** არას **მოვასხენებ**“ (ამირანდარ. გვ.41); „შემეცნა ხილვითა ოდენ **წრფელთა** და **დრკუთა**, **გულარძნილთა** და **უმანკოთა**, **ერთგულთა** და **ორგულთა**“ (ცხ. მეფ.-მეფ. თამ. გვ. 382); „ველთა ცრემლი **ასოვლებდა**, თვალთა ჩემთა მონაწური“ (ვეფხ. გვ. 194); „ირემიცა **წარმოუდგინა** წმიდამან **ბოლოკ-ბასილის** და თანავე **მუშაკთა**“ (სასწ. წმ. გიორგ. გვ. 420)

2. თუ პირდაპირი ობიექტი სახელობითი დგას, მაშინ მისი მრავლობითობა ზმნაში ყოველთვის აღინიშნება **ენ, ნ** სუფიქსით. ეს მოვლენა დაწვრილებითაა შესწავლილი ძველ ქართულ ენაში (არნ. ჩიქობავა, ი. იმნაიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნ. მარი). მსგავსი მორფოლოგიური მოვლენა ახალ ქართულში აღარ გვაქვს, მაგრამ საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში ის ისევე მყარადაა გამოხატული, როგორც ძველში. მაგ.:

„დაიმაღლა მეფემან, **მისცნა ლაშქარნი და უჩინა სპასალარნი**“ (ამირანდარ. გვ. 38); „ცისაებრ მზისა სიახლესა დაეშვენე, რომლისა გონებითა მე ცნობანი წამსვლიან“ (ვისრ.გვ.142); „**განხვანა** პა-პა-მამურნი **საუნჯენი** და **გამოყარნა** ოქრო **აურაცხელნი**“ (ცხ.მეფ.-მეფ. თამ. გვ. 396); „და ესევითარივე საკვირველებითა **მრავალნი გამოიხსნა** ამან წმიდამან ხელისაგან წარმართთაისა“ (სასწ. წმ. გიორგ. გვ. 420); „შერმადინ ერთგან **შეუარნა ხასნი** და **დიდებულე-ბი**“ (ვეფხ. გვ. 59); „მოგეკვეთოს თავი და **შევაჭამნე ხორცნი** შენნი ძაღლსა“ (ამირანდარ. გვ. 40)

3. ზემოთ აღნიშნული მოვლენა მხოლოდ **ნარიანი** მრავლობითისთვისაა დამახასიათებელი, არ დასტურდება მსგავსი რამ **ებიანი** მრავლობითისას. როგორც ჩანს, ეს მოვლენა განპირობებულია ძველი ქართულის მყარი წესით: სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელის მრავლობითობა აღინიშნება ზმნაში, მიცემითში მდგარისა კი — არა. საშუალო ქართულის წერილობითმა ძეგლებმა გვიჩვენა, რომ პირდაპირი ობიექტი რიცხვის გამოხატვის თავლსაზრისით აბსოლუტურად იგივე სურათი გვაქვს, როგორიც ძველ ქართულში.

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა (თბილისი)

### „ვეფხისტყაოსნის“ ზმნათა ზოგი თავისებურებისათვის

1. რუსთაველის პოემის ენის თავისებურებათა შორის აღსანიშნავია მიმღობისა და მეშველი ზმნის საშუალებით მიღებული შემასმენლების ხმარება. ამგვარი კონსტრუქციები, რომლებიც უფრო ხალხური მეტყველებისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, „ვეფხისტყაოსნის“ დაბალი შაირით დაწერილ სტროფებში გვხვდება და პოემის გმირთა თხრობისთვისაა ნიშანდობლივი. შემასმენელთა უმრავლესობაში ჯერ მეშველი ზმნაა, შემდეგ მიმღობური კომპონენტი, რომელიც ხშირად რითმის მიზნითაა გამოყენებული. წევრთა თანამიმდევრობის თავლსაზრისით გამოხატვისათვისა მეშველი ზმნის მხ. რ. მე-3 პირი, რომელიც ტაეპის ბოლოს შეკვეცილი -ა ფორმით დასტურდება: „...თვალი ცრემლისა **მღვრელია**“. „...მეფე ჩემთანა **მვლელია**“.

კონსტრუქცია იშვიათად შინაგანი რითმის გამოა ნახმარი: „მა-შინ **ვარ მქმნელი** საქმისა, მის შინგან მიმდობილისა“.

სხვადასხვა გვარის მიმღობების წარმოებაში პროდუქტულია მ-არ-, მ-ელ- ცირკუმფიქსები, მ- თავსართი, -ილ ბოლოსართი: რიგ შემთხვევაში ზმნებს წინდებულებიც ერთვის — შემო-მ-ხვეწელი.

შედგენილ შემასმენელთა უმრავლესობა პირველი და მეორე სერიის შინაარსს გადმოსცემს:

„ველარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა **მთხოველი**“

„ავთრთოლდი, ავდეგ ველარა, ვერლა ქვე **ვიყავ მჭდომელი**“

„აწ რაცა გკადრე, ამისთვის ნუთუ შენ **იყო მჭმუნავი!**“

ზოგ მაგალითში ამგვარი კონსტრუქცია პერფექტულობის შინაარსს გადმოსცემს:

**ვარ მნახავი** ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა.

მეშველი ზმნის უარყოფით მიმღობასა და ნაწილაკ ვერთან ხმარებას განსხვავებული შინაარსი აქვს:

„დღეს **წარუვალი ვერა ვარ**, მით ცეცხლი სხვაცა მწვიდესა“ = არ შეიძლება, რომ დღეს არ წავიდე.

2. „ვეფხისტყაოსანში“ არის სხვადასხვა კატეგორიანაკლი ზმნები, რომელთა ფორმები თავისებურ ზმნათა ისტორიისთვისაა გასათვალისწინებელი.

ა) **დრონაკლი**:

გ—ალ: „რათგან დავრჩი, **გვალე**, ვნახოთ, თუცავე ვარ ჯერთცარეტად“.

ც: „ანუ ვინ **მიცის** ცოცხალი, მიწასა ზედა მტკებნელი“

ბ) **პირნაკლი**:

ქუხ: „იგი მოგვეცემს წყალობასა მისსა, ზეცით **მოგვიქუხებს**“.

წვიმ: „ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენცრემლთა **გარდმოსწვიმდა**“.

გ) რიცხვნაკლი:

ჯღ-: „ზოგჯერ კომეს **ჯდის**, ზოგჯერ ბაღჩას ჩამოვდის, რა დგის ჩრდილი“

ცხენი მომგვარეს, **შეცავჯე**, მეფე ჩემთანა მვლელია.

დ) **ქცევანაკლი**:

უბან-, ბარ-

„**იუბნეს** და გააცხადნეს თავისთავად მათნი ჭირნი“.

„მაგრა უჯდა უცხოს უცხო, არ ბავენი **აუბარნა**“.

წინდებულ დართულ მეტყველების ზმნაში სემანტიკური დიფერენციაცია არის საგულვებელი.

„მიაცორებს და მიუბნობს, მოსტყვამს მისსავე ღხენასა“.

აქ მიუბნობს ნიშნავს „თან მღერის“.

ე) გვარნაკალი:

კვდ: თავს უთხრა: „მოკვდე, გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანასა“.

ზმნათა ზოგი თავისებურება ავტორისეული სტილის, ძველი ქართლისა და რუსთველის მშობლიური კილოს — მესხურის საფუძველზე შეიძლება აიხსნას.

### ელისაბედ გაზდელიანი (თბილისი)

#### ერთი კომპოზიციის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანური ენის ზმნურ ფორმებში

ახალ წელს დილით ადრე ოჯახში მოდიოდა, ოჯახის მიერ კენჭისყრით შერჩეული ფეხბედნიერი, სიკეთით გამორჩეული მეზობელი ან ახლობელი სხვა ოჯახიდან **მგ-ჭშხ-ი** „მეკვლე; მგ—ი მოქმედებითი გვარის მიმღობის მაწარმოებელი კონფიქსია. **-ჭიშხ-** „ფეხი“ შდრ. ლჩხ. **მე-ფეხ-ურ-ი, მე-ფეხ-ე** „მეკვლე“ (ა. ღლონტი). **მგჭშხის** ერთერთი ძირითადი მოვალეობაა შეასრულოს **ლიშიაში, ლიშიაში** ბზ., **ლიშიაში** ბქ. ლნტ. **ლიშიაში** ბქ., **ლიშიაში** ლშხ. — მოსალოცის ხელში მიცემა საახალწლოდ (ტკბილად დაბერება) ხელის გახსნა (სვან. ლექ.) — ხელის აშვება, ახალ წელს პირველად მიწოდება რისამე (კ. დონდუა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი). ბ. ნიჟარაძის ლექსიკონში ეს ტერმინი არ შეგვხვდა, მაგრამ მეკვლე — **მგჭშხი** ლექსემასთან მეორე მნიშვნელობად მიწერილია **მგშიაში** — **поздравитель в новый год** (ახალი წლის მიმლოცველი). — ხელის ახსნა, ახალი წლის წესჩვეულება (გ. ბარდაველიძე სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი). აქვე გვხვდება ამ მასდარის **ლიშოშაწლ** ვარინტიც. ხშირად ამ ტერმინს ენაცვლება **შიმი ლიფშუდე** — „ხელის ახსნა“; **შიმი ლიცაწდი** „ხელის შეცვლა“, შდრ. **ჭიშხი ლიფშუდე** — „ფეხის ახსნა“ (პატარძლის პირველად მიყვანა ქმრის ოჯახში).

**ლი-ში-აში** ფორმაში გამოიყოფა **ლი-** მასდარის მაწარმოებელი პრეფიქსი. ფუძე შედგება **-ში-** „ხელი“ სახელისაგან და **-აში < -აში** — „მსუბუქი, მჩატე, ადვილი“ ზედსართავი სახელისაგან. გრძელხმოვ-

ნიან დიალექტებში მასდარისა და ზმნის პირიანი ფორმების ფუძეში ხმოვნის სიგრძე გაუჩინარებული **ჭ**ს კომპენსაცია **-აში < -აში. ში-** გვხვდება სხვა კომპოზიციების შემადგენლობაშიც: **შიაწარი/შენაწარი** — „ხელცარიელი“; **შიმიბერ** ბზ., **შიმიბერ** ბქ. (ში-ემ-იშ-ბერ) 1. ხელის-გული; 2. ხელთათმანი. ამ კომპოზიციებში **შიმი-შიმი-** ნათესაობითი ბრ. ფორმებია „ხელის“, ხოლო **ბერ** ზს. „წინდა“. შდრ. **შიმიგულ** ლშხ. **შიმი გუიგუ** ლნტ. „ხელისგული“.

**ლი-ში-აში** — „ხელის ამსუბუქება“. აღნიშნული კომპოზიციისაგან იწარმოება როგორც ზმნის პირიანი ფორმები სხვადასხვა დროსა და კილოში, ისე მიმღობები. **-ში-აში** ფუძიანი ზმნის ფორმები ძირითად დროებში:

	ბქ.	ბზ.	
აწმყო	ხუაშაში	ხუაშიაში	ხელს ვუხსნი ეტ. (გუმსუბუქებ)
უწყ.	ხუაშაშ	ხუაშიაშდას	ხელს ვუხსნიდი (გუმსუბუქებდი)
მყოფ.	ოთშაშისგ	ოთშიაშნას	ხელს გაავუხსნი (ავუმსუბუქებდი)
წყვ.	ოთშაშ	ოთშიაშ	ხელი გაავუხსენი (ავუმსუბუქე)
თურ.	აშაშა	აშაშიაშა	ხელი გამიხსნია (ამიმსუბუქებია)

ამ კომპოზიციის შემცველი ზმნები გამოქვეყნებული ტექსტებიდან.

უშხუარ **აშიაში** (ბზ.) — „ერთმანეთს ხელს უმსუბუქებენ“; ჰამს **ჩუაშაში** ჩი (ბქ. II, 7325) — „დილით ხელს აუმსუბუქებს ყველას“; **ათშიაშაწლუნა** თხუმ მგშიაშის (ლშხ. 17, 11 არს. ონიანი) „...ხელი ამსუბუქებინო (თავი) ხელის ამსუბუქებელს (მეკვლეს)“; **ჩუადაშიაში** თეთრშუ (ლნტ. ქრ. 292) — ხელს აუმსუბუქებს ფულით.

მიმღობები: **ლაშიაში** ყი ლემარე ხარხ (ბქ. II, 725) „ხელის ასამსუბუქებელი (სამეკვლეო) გამზადებული აქვთ“; **მგშიაში** ძარ გვერა (ბზ.) „ხელის ამსუბუქებელი ვინ გვეყოლება“; **ლეშიაშის** შიარ ხოხლა (ბქ. II, 73, 11) „ხელის ასამსუბუქებელს ხელები გაწვდილი აქვს“; **მგშიაშის** ითში ხოჩა შიე მარას (არ. ონიანი ლშხ. 17, 19) ხელის ამსუბუქებელს კარგი ხელის კაცს ირჩევნ.

მოხსენებაში განხილული იქნება ასევე **გუ-ნოლა** „გულ-ცული“. მასდარი: **ლი-გ-ნოლ-ე** „წყენა“ (ეტიმ. გულცულობა) კომპოზიტი ზმნის პირიან ფორმებში.

## ნ უ ნ უ გ ე ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი (თელავი)

### ზმნათა დიალექტური ფორმები XII-XVIII საუკუნეების სამართლის ძეგლთა ენაში

ძველი ქართული სალიტერატურო ენა მტკიცედ ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემაზე დაფუძნებული, თუმცა მასში აგრეთვე საკმაოდ იძებნება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომელთა ოდენობა XII საუკუნიდან თანდათან მატულობს; კერძოდ, ირღვევა დოგმატური ენობრივი ტრაფარეტები და გზას იკაფავს დიალექტიზმები, რომლებიც წერილობით ძეგლთა ენაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია მათი აღნუსხვა თუ ქრონოლოგიის დადგენა. ამ თვალსაზრისით ანგარიშგასაწევია საშუალო ქართულის სამართლის ძეგლთა ენა, რადგან იგი უმეტესად ცოცხალ მეტყველებას ეფუძნება და ნათლად ასახავს თავისებურებებს; კერძოდ: საანალიზო ძეგლთა ენაში მნიშვნელოვან ნაირგვაროვნებას ქმნის ზმნის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებული ნიმუშები:

ა) აწმყოს ფუძის საწარმოებლად „ავ“, „ამ“ თემის ნიშნები ხშირად შეცვლილია „ევ“, „ემ“ სუფიქსებით: **ჰვნევდე, ჰნახევდით, ფიცევდეს, უზემდე...**

ბ) მესამე პირის მრავლობით რიცხვში ხმოვნის შემცველი პირის ნიშანი იწვევს -ავ/-ამ თემის ნიშანთა ხმოვნითი ელემენტის რედუქციას: **„დაგვისახვენ, აღთვალნენ, დაუდგმენ, უზამენ...“**

გ) ზოგჯერ ზედმეტადაა გაჩენილი თემის ნიშანი: **დაიჭირავს, ითვალავს...** ზოგჯერ კი არის ცდა ერთდროულად ორი თემის ნიშნის გამოყენებისა: **შევწირაობ...**

დ) თემატურ სუფიქსთა თავისებურება სამართლის ძეგლთა ენაში ვლინდება ამ ნიშანთა მონაცვლეობაშიც, რაც გაერთფეროვნების ტენდენციით აიხსნება: **მოართომს, დაარქვამს, ჰკლევენ...**

ე) ხშირად დასტურდება ვედ ფუძის დიალექტური სახეობა **ველ: წაველ, მოველ, მიველით...** ზოგჯერ დაკარგულია ფუძის ბოლო თანხმოვანი: „მცხეთას **მოვე** და მაკურთხეთ“.

ვ) ზოგიერთ შემთხვევაში ნამყო ძირითადი მწკრივის ნიშანი **ე** გართულებულია და გვაქვს დიალექტური სახეობა **ევ** ან **ევი**, რაც ახასიათებს კახურს, ქართლურს, იმერულს, მესხურ-ჯავახურს: **დავაწვევ, შევაძვევ, მოიღვევით, დავსღვევით, ავიღვევით...**

ზ) მეორე სერიის მწკრივებში ვნებიტებთან გამოვლინდება ინფიქსიანი წარმოება: **იყვენით, ვიყვნეთ, ვიყუნეთ, გავიყარენით, გაიხარჯენით...**

თ) მეორე სერიაში ხშირად ჩარულია „ვ“: **იხილვნეთ, შეუნღვნეს, მივანღვენ, მოიწივენით, მივიწივენით...**

ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე **-ყე** ნაწილაკიანი ფორმები, რომლებიც XII საუკუნიდან ჩნდება წერილობით ძეგლებში და დიალექტური მოვლენის ნათელ ასახვას წარმოადგენს: **ეწერაყე, უწერაყე, გამოჩნდესყე, ჰქონდესყე...**

ყურადღებას იქცევს ზმნურ ფორმებთან ზმნისწინთა აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ხმოვანშეცვლილი სახეობები: **შემამიწირავს, შავიდეს, მაინდომებენ, მაპივდია...**

ამდენად, საანალიზო მასალა ის ობიექტური რეალობაა, რომელიც XII-XVIII საუკუნეთა სამართლის ძეგლთა ენაშია გამოვლენილი, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული დიალექტოლოგიის, არამედ, საერთოდ, ენის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენისათვის.

## ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი (თბილისი)

### ნასახელარ ზმნათა შესახებ მეგრულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ნასახელარ ზმნები მეგრულ-ლაზურში გაცილებით მეტია პირველად (ძირეულ) ზმნებზე (ნ. მარი, ი. ყიფშიძე).

ნასახელარ ზმნებს მოეპოვება ყველა ის კატეგორია, რაც — ძირეულ ზმნებს, მაგრამ ამ კატეგორიათა ფუნქციონირება მაინც თავისებურია.

1. სახელთაგან იწარმოება როგორც გარდამავალი (მაგ., არჩილენს „ათეთრებს“, ამაღლენს „ამაღლებს“, აკოჩენს „აკაცებს“...), ისე გარდაუვალი (მაგ., ირჩილებუ „თეთრდება“, იმაღლებუ „მაღლდება“, იკოჩებუ „კაცდება“...), როგორც დინამიკური (მაგ., თინუნს „ასწორებს“, ტყაბარანს „ატყავებს“, აბორენს „ასულელებს“...), ისე სტატიკური (მაგ., გურენს „ბრაზობს“, ზედმიწ. „გულობს“, ქულანს „კოჭლობს“, ბოშენს „ბიჭობს“...) ზმნები. მაგრამ ზოგი სახელისაგან (მაგ., დიხა „მიწა“, ბჟა „მზე“, ეშალგ „კიბე“) ზმნის წარმოების შემთხვევები არ დასტურდება, რაც ამ ზმნათა სემანტიკით არის გამოწვეული.

2. ნაზმნარ სახელებში გამოიყენება ვნებითი გვარის როგორც იპრეფიქსიანი (მაგ., ისქვამებუ „ლამაზდება“, იოსურებუ „ქალდება“, იფერუ „იფერება“...), ისე -დ სუფიქსიანი წარმოება; უკანასკნელი, ქართულთან შედარებით, იშვიათია (მაგ., წკონდინდუ „იწმინდება, წკნდება“, მონდინდუ „მწიფდება“...).

რელატიურ ვნებითი გვარის ფორმათა წარმოების შემთხვევები ბევრი არაა, თანაც ამ დროს, როგორც წესი, გამოიყენება, არა საკუთრივ მეგრულ-ლაზური ა-პრეფიქსი, არამედ — ნასესხები პრეფიქსი ე- (მაგ., ედულებუ „უხელმძღვანელებს“, ზედმიწ. „უთავებს“, ეგურებუ „ემდურის“, ზედმიწ. „ეგულება“, ეუჩორებუ „უშავდება“, ზედმიწ. „ეშავება“...). ზოგჯერ პარალელურად იხმარება საკუთარი და ნასესხები წარმოება (მაგ., **ონერხუ || ანერხანს || ენერხებუ** „ენერხება“, **ოძალუ || ეძალებუ** „ეძალება“... **ენერხებუ** და **ეძალებუ** ნასესხები ფორმებია, III პირის საკუთარი -უ სუფიქსით გაფორმებული, ბუნებრივი ფორმებია **ონერხუ || ანერხანს** და **ოძალუ**).

3. ნასახელარ ზმნებს აქვთ ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის ფორმები, ამასთან, ნეიტრალური ვერსიისათვის გამოიყენება როგორც საკუთარი **ო-**, ისე — ნასესხები **ა-** (მღრ. მაგ., **ოსქირუანს** „აშრობს“, **ისქირუანს** „იშრობს“, **უსქირუანს** „უშრობს“ და **ადიდენს** „ადიდებს“, **იდიდენს** „იდიდებს“, **უდიდენს** „უდიდებს“...), მაგრამ კაუზატიურ ფორმებში გვხვდება მხოლოდ საკუთარი **ო-** პრეფიქსი (მაგ., **ორჩინუანს** „აბერებს“, **ომმარაფუანს** „ამმარბინებს“, **ოჯიმოლაფუანს** „ამარილებინებს“...).

4. სახელთაგან ნასახელარი ზმნების საწარმოებლად სპეციალური აფიქსი თითქოს არ ჩანს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ **-ორ**, რომელიც მთელ რიგ სახელურ ფუძეთაგან ზმნური ფუძის მაწარმოებლად შეიძლება მივიჩნიოთ, მღრ.: უჩა „შავი“ — აუჩორენს „აშავებს“,

იუჩორებუ „შავდება“, ჭითა „წითელი“ — აჭითორენს „აწითლებს“, იჭითორებუ „აწითლებს“, ჭიჭე „პატარა“ — აჭიჭორენს „აპატარავებს“, იჭიჭორებუ „აპატარავდება“, კუნტა „მოკლე“ — აკუნტორენს „ამოკლებს“, იკუნტორებუ „ამოკლებს“, გირძე „გრძელი“ — აგირძორენს „აგრძელებს“, იგირძორებუ „აგრძელებს“, შხუ „მსხვილი“ — აშხუორენს „ამსხვილებს“, იშხუორებუ „ამსხვილებს“, ჭიფე „წვრილი“ — აჭიფორენს „აწვრილებს“, იჭიფორებუ „აწვრილებს“, წინდა „ჭუჭყი“ — აწინდორენს „აჭუჭყიანებს“, იწინდორებუ „აჭუჭყიანდება“...

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, არ არის გამორიცხული მაზმნავებელი **-ორ** სუფიქსი ეტიმოლოგიურად **ორე** „არის“ ზმნის ფუძისეულ **-ორ** ელემენტს უკავშირდებოდეს.

## გ უ ბ ა ზ გ ო გ ა ტ ი მ ვ ი ლ ი (თბილისი)

### მრ. რიცხვის S<sub>III</sub> პირის ნიშნთა დიფერენციაცია და S<sub>2</sub>O<sub>3</sub> ირ. ობიექტური პირის ნიშნების იოტაციის პროცესი ფშაურში

ხევსურეთის მომიჯნავე უკანა ფშაველთა მეტყველებისათვის დამახასიათებელ S<sub>III</sub> პირის — *ენ (-ეს)* ბოლოსართს სამხრეთი მიმართულებით, არაგვის ქვემო წელში, ქართლის მომიჯნავე სოფლების მკვიდრთა მეტყველებაში მზარდი ინტენსიურობით ენაცვლება სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი — *ნენ* დაბოლოება.

ძველი ქართულის მსგავსად, ხევსურულისათვის “მესამე პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი დაბოლოება, აწმყოსა და მყოფადს გარდა, არის ყველგან და ყოველთვის — ეს“ (ა. შანიძე, ა. ჭინჭარაული). დღევანდელ ფშაურ დიალექტში ეს მოვლენა, მართალია, არ გვხვდება “ყველგან და ყოველთვის“, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანა ფშაველთა მეტყველებაში საკმაოდ არის გაბატონებული მრავლობითობის გამოხატვა S<sub>III</sub> პირში — *ენ* სუფიქსის საშუალებით და ზოგან სისტემური ხასიათიც აქვს (სოფ. უძილაურთა, ცაბაურთა, ვაკისოფელი, გოგოლაურთა, მათურა, აჯადი...). უკანა ფშავი ამ იზომორფიისათვის ძირითად არეალად უნდა მივიჩნიოთ.



სუბიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად არქაული ნორმის მიხედვით III პირის ზმნებში — ენ-ის ნაცვლად — ეს სუფიქსი გვხვდება უწყვეტელსა და გარდაუვალ ზმნათა წყვეტილში (გარდაუვ.: ბალღებ იყვნეს; ქისტებ წავიდეს, გამასცილდეს... ვერ მეეწივნეს ბეწინიას. მიბრუნდეს ისრიავ... გაიარეს, გადსცილდეს; ფშავლები გადავიდეს და დაიფიცნეს; მძლივაც დევსწვრნეს; აჯადის გორს ამეეფარნეს; თავად კი დაიქენეს; ზოგები წინ ჩასხდეს; ახალ-უხლებ ვინამ იყვნეს (ს. მუქო); მეხატობებ იყვნეს (ს. გოგოლაურთა); შდრ. ასევე: იცოდეს, გა-მეეფარნეს... გარდამ.: მაჭმევდეს, დაძჳრავდეს, მაძჳჭრიდეს... -ეს ფორმანტი, ჩვენი აზრით, ხევსურულის მსგავსად, თავდაპირველია და ძირითადი. იგი, როგორც ამას აღნიშნავს ივ. იმნაიშვილი, “ძველი ქართულიდან მომდინარეობს“ და -ეს სუფიქსი ზოგჯერ III სერიაშიც ენაცვლება -ენ-ს: ბალღებ იყვნეს, აყრილიყვნეს, დამთვრალიყვნენ და გადადგომნიყვნეს. ე ბალღებ აყრილიყვნეს ვაშლზედა (ს. უძილაურთა). საერთოდ კი, ორივე წარმოება თანაბარი უფლებით სარგებლობს და ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაშიც კი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: მეხატობები იყვნენ, იმეებმ მოგვცეს, ჩვენებურებ იყვნეს, გადასულნი (ს. უძილაურთა). -ენ დაბოლოება კი, რომლის გამოყენების არეც ასევე ფართოა, მისგან მიღებულად უნდა მივიჩნიოთ და გვხვდება იქაც, სადაც ნ-ენ იყო მოსალოდნელი (ძირითადად უწყვეტელსა და წყვეტილში): ხატზე ეფიცებოდენ ერთურთსა; წავიდენ შინა; მექორწილენი დაშინდენ. შდრ. ასევე: ემზადებოდენ, იბანდენ, ტიროდენ, ვაანთებდენ, შადრიდენ, ჩამოიდენ... ნ-ენ უცხო უნდა იყოს ფშავურისათვის და იშვიათადაც გამოიყენება (ქართლის მოსაზღვრე სოფლებში), თუკი სადმე გვხვდება, სალიტერატურო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს.

როგორია ვაჟა-ფშაველას არჩევანი? ივ. იმნაიშვილის დაკვირვებით, იგი ძველი ქართული დ-ენ დაბოლოებაზე ხელს იღებს, მას აქვს მხოლოდ და მხოლოდ დ-ენ ყალიბი და მგოსანიც, იშვიათი გამოწაკლისის გარდა, ამ პრინციპს იცავს: აქებდენ, აღებდენ, აღავლავდენ, დარბოდენ, დამადგებოდენ, მოკელაობდენ, მოცვიდენ, მივიდენ... -ეს დაბოლოების გამოყენება გაცილებით მცირდება ქართლ-კახეთის მოსაზღვრე არაგვისა და ივრის ხეობის სოფლებში. ეს რეგიონი ამ იზომორფი გამოყენების არეალად უნდა მივიჩნიოთ.

ფშავური იმ დიალექტთა ჯგუფს ეკუთვნის (კახური, თუშური, მთიულური), სადაც ზმნაში დაცულია S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირის ნიშნები. ფონეტიკური გარემოს გათვალისწინებით S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირი ქართლურში, კახურში,

ქიზიყურსა და ფშავურში წარმოდგენილია განსხვავებული ინდივიდუალური ვარიანტების სახით სხვადასხვა ბგერებთან მეზობლობის დროს. S<sub>2</sub>O<sub>3</sub> პირის ნიშნები ცალკეული არეალების მიხედვით ფშავურში დასტურდება ჰ-, ს-, ძ-, ძჳ-, ძს-, O ალომორფთა პოზიციური ვარიანტების და მათი ფონეტიკური სახესვაობების სახით: ზ-// ძზ-, შ-// ძშ-.

S<sub>2</sub>O<sub>3</sub> ირ. პირის ნიშანთა იოტაციის პროცესი ფშავურში რეგიონულ მონაცემთა მიხედვით ამგვარად წარმოგვიდგება:

I. ხმოვნების წინ — O;

II. წინაენისმიერი (დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ) ხშულების წინ: ს-, ძ-, ძს-; ამ დროს ხელსაყრელ ფონოლოგიურ გარემოში გვხვდება ს-ალომორფის ფონეტიკური სახესვაობები, რომელთა კლასიფიკაცია ხერხდება ცალკეულ რეგიონთა მიხედვით:

ა) უკანა ფშავისა და არაგვის ხეობის ფშავის (წინა ფშავის) ჩრდილო ნაწილში: ს→ზ (დ, ძ ბგერების წინ: და-ზ-დგმენ, მა-ზ-დის, და-ზ-დისხარ, ა-ზ-ძრახდი, ზ-ძახ...); ს→შ (ჭ, ჩ ბგერების წინ: შ-ჭამ, შ-ჩივი, შ-ჩემობ, შ-ჩეჩავ, შ-ჩუმათობ...).

ბ) ქართლის მოსაზღვრე წინა ფშავის სამხრეთ ნაწილში: ს- → ძს- → ძზ- (დ, ძ ბგერების წინ: და-ძს-დგმენ, მა-ძს-დის, გადა-ძს-დისხარ, და-ძს-დისხარ, კიოთ ა-ძს-ძრახდი, რადა-ძს-ძახ?...); ს→ძს→ძშ (ჭ, ჩ ბგერების წინ: არა ძს-ცემო, რასა ძს-ჩადი, რასა ძშ-ჭამ: კიოთა ძშ-ჩეჩავ, რადა-ძშ-ჩივი?...).

გ) ივრის ხეობისა და ქართლის მოსაზღვრე წინა ფშავის სოფლებში (ჩეკურაანთგორი, ველები, ზარიძეები, ტუშურები, ჩაბანო, ჯიჭეთი, გუდრუხი, თვალვი, ნეძიხი, სწროფავი): ს→ძს//ძზ→ძ (გამა-ძის, გამა-ძ-დგომია, მა-ძ-დისხარ, მა-ძ-დის, ა-ძ-ძრახდი, რასა-ძ-ძახ?...); ს→ძს//ძშ→ძ (რასა-ძ-ჭამ, ნუ-ძ-ჩეჩავ! რასა-ძ-ჩივი?...).

დ) ძალზე იშვიათია ზ-, ძზ- ვარიანტები, რაც უკანა ფშავის ცალკეული სოფლებიდან გამოსულ მოხუცთა მეტყველებას თუ შემოუნახავს და ხევსურულისა და თუშურის გავლენით უნდა აიხსნას: გამა-ხ-ყვა დედაი, მი-ხ-ყვება გარაი, ა-ხ-ყარეს იარალი, ქისტებსა-ძხ-ვოცდენ, ბალღა-ძხ-ყვანდა...).

III. ბაგისმიერი ბ, ფ, პ უკანაენისმიერი ხშულების გ, ჯ, კ და ყ ბგერების წინ გვხვდება ჰ-, ძჳ-, ძ-. ამათგან მედერი ბ, გ ბგერების წინ, როგორც წესი, გვაქვს ძ (რასა-ძ-გევიხარ, გამა-ძ-ბადავს, გა-ძ-ბედა, შე-ძ-ბედა, ძ-ბერდები, და-ძ-ბერდები, მა-ძ-გვანდა...), ხოლო ფ, პ, ჯ, კ, ყ, ჯ-ს წინ დასტურდება ჰ-, ან უმეტესად ძჳ- (ჰ-პარვენ, მა-ძჳ-

კალ, მა-მპ-პარვენ, მა-მპ-ქონდა, მა-მპ-ფიქრდა, იმასა-მპ-კლებავ, ჩა-მპ-ქოლავდეს, ქოთმათობა-მპ-ყავ, მანდა-მპ-ველვენ...).

IV. სონორებისა და სპირანტების წინ (ზ, ს, ყ, შ, ლ, ხ, მ, ნ, რ, ლ) დასტურდება მხოლოდ *ა* (გა-მალავენ, შა-მნანდა, და-მლევენ, და-მრჩომიან, მა-მშორდება, რა-მნახე? რასა-მ-ზიხარ? მაგასა-მ-მართებს, მანდავა-მ-რეცხს...).

$S_2O_3$  ნიშნად *ა* ყველა ნაჩვენებ პოზიციურ სიტუაციაში გვხვდება. იგი ენაცვლება *ჰ* ან *ს*- პრეფიქსს იმ დროს, როცა ზმნა პრევერბიანია. *ა*- პრეფიქსად გვევლინება უზმნისწინო ფორმებშიც. ამ დროს ხმოვნით დაბოლოებული წინამავალი სიტყვა ზმნასთან ერთად ქმნის ერთ რიტმიკულ ერთეულს და მათ შორის პაუზა ვირტუალურია; *ა*-დართულ ალომორფთა გამოყენება უფრო ინტენსიურია და იოტაციის პროცესი მატულობს ბარის დიალექტებთან სიახლოვისას, ჩრდ. ქართლის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრებთა მეტყველებაში როგორც არაგვის ხეობის, ისე ივრის ხეობის ფშავში. ჩანს, ამ მოვლენის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეწყო ქართლურსა და კახურს. იგივე მოვლენა დადასტურებულია ქართლურში, კახურში, ინგილოურსა და ფერეიდნულში, მთის სხვა კილოებისაგან განსხვავებით, მთიულურსა და ფშაურში. ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულურის მსგავსად, იგი მიიღება სპირანტის დასუსტების შედეგად და ქმნის ალომორფებს: *ა*-, *ა*ს-, *ა*ზ-, *ა*შ-, *ა*ჰ-. *ა*- გვხვდება იმ დროსაც, როცა იგი III ირიბ ობიექტური პირის ნიშანი კი არ არის, არამედ გვაქვს მიცემითბრუნვიანი ბრუნვაცვალებადი ობიექტი (ვისაც დეეწევა, გადარესავს).

ვ) ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსის წინ შემონახულია მესამე სუბიექტური პირის ნიშნები: -ს (მხოლობითსა) და -ნ (მრავლობითში) სამხრეთ რეგიონებში გამოყენების ინტენსივობის შემცირებით: *გყავისთ*, *ვიბავისთ*, *ვიჭირსთ*, *ვიკვირსთ*, *ავ შურებიანთ*, *გელექსებიანთ*, უნდა *მოგიწყვანთ*...).

იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ლექსიკური დიფერენციაციის შესახებ ფშაურის გავრცელების სხვადასხვა რეგიონს შორის, რაც ფშაური დიალექტური გარემოს ასევე ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია.

## გიორგი გოგოლაშვილი (თბილისი)

### ქართული ენის დრო-კილოთა სისტემა და მთის კილოთა მონაცემები

აკაკი შანიძის მოძღვრების თანახმად, დრო-კილოთა სისტემა ახალ ქართულში ძველისაგან პრინციპულად განსხვავებულია: I სერი-აში გამოიყო ორი წრე: ამ ორი წრის მწკრივთა შორის განსხვავებას ძირითადად ზმნისწინი ქმნის:

I წრე		II წრე	
აწმყო	— ვაკეთებ	მყოფ.	— გა-ვაკეთებ
უწყვ.	— ვაკეთებდი	ხოლმ.	— გა-ვაკეთებდი
I. კავშ.	— ვაკეთებდე	მყ. კავშ.	— გა-ვაკეთებდე

ეს არის ახალი ქართულის სისტემა და, ცხადია, როცა ვსაუბრობთ დიალექტებში ზმნის უღლების საკითხებზე, ეს სისტემა უნდა გვახსოვდეს. ამგვარად გვიანტერესებს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებისათვის ისეთი სპეციფიკური ფორმები, როგორიცაა მაგალითად ფშაური.

#### ვაკეთებ-დ-ოდ-ი

#### აკეთებ-დ-ოდ-ი

**აკეთებ-დ-ი-ს** (თუშურ-ხევსურულში ოდ-ის ნაცვლად -იდ სავრცობი გვაქვს). ამგვარ ფორმებს I ხოლმეობითს უწოდებენ. გვხვდება როგორც უზმნისწინო, ისე ზმნისწინიანი ვარიანტები:

#### ვაკეთებდ-ოდ-ი — გა-ვაკეთებდ-ოდ-ი.

ორივე ეს ფორმა ერთი და იმავე მწკრივის ფორმადაა მიჩნეული.

როგორ მოთავსდება ეს ფორმები ა. შანიძის სისტემაში:

#### აწმყ. წრე

#### მყოფ. წრე

- |                  |                  |
|------------------|------------------|
| 1. ვაკეთებ       | გა-ვაკეთებ       |
| 2. ვაკეთებდი     | გა-ვაკეთებდი     |
| 3. ვაკეთებდე     | გა-ვაკეთებდე     |
| 4. ვაკეთებდ-ოდ-ი | გა-ვაკეთებდ-ოდ-ი |

მეოთხე წყვილის ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად მიჩნევა არღვევს სისტემას; ამ შემთხვევაში პასუხი უნდა გავცეს სერიოზულ კითხვას: რატომ არის **ვაკეთებდი** / **გა-ვაკეთებდი** სხვადასხვა მწკრივის ფორმები და **ვაკეთებდოდი** / **გა-ვაკეთებდოდი** — ერთი და იმავე მწკრივისა?

სისტემის გათვალისწინებით, ან უნდა მოხდეს 1-3 წყვილის ერთი და იმავე მწკრივის ფორმებად მიჩნევა, ანდა მე-4 წყვილის სხვადასხვა მწკრივის ფორმებად ჩათვლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭირო იქნება მათ შორის (**გა-კეთებლოდი — გა-გა-კეთებლოდი**) ფუნქციური გამიჯვნა, რაც გაამართლებდა ამგვარ გადაწყვეტილებას.

ჩვენ მხარს დავუჭერდით პირველ დაშვებას: მთის კილოთა ხოლმეობითის ფორმების გათვალისწინება კიდევ ერთი არგუმენტი იქნება იმის სამტკიცებლად, რომ I სერიაში ორი წრე არ უნდა გამოიყოს.

**მ ა რ ი ა მ გ ო დ უ ა ძ ე (თბილისი)**

**გრძობა-აღქმის აღმნიშვნელ ზმნათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი**

1. გრძობა-აღქმის გამომხატველი ზმნები, საერთაშორისო ტერმინოლოგიით — *verba sentiendi* — ენის უძველეს შრეს განეკუთვნება. ქართული სამეტყველო ფსიქოლოგიის თვალსაჩინო თავისებურებააა მიჩნეული, რომ გარკვეული ტიპის ზმნებში, მაგ., **მიკლავს** ზმნაში, I პირი (მე) წარმოდგენილია არა როგორც მოქმედი, არამედ როგორც უმოქმედო, რომელსაც მიეწერება წარსულში ვილაცის ან რაღაცის კვლა. **სძულს, სცივა, აქვს, ზის, წევს** ტიპის ზმნებში S უმოქმედოა და მას თითოეული ეს მდგომარეობა მიეწერება. სამეტყველო აზროვნების მიერ გაშუალებული რეალური ურთიერთობა გარდაქმნილი ურთიერთობის გამოხატვა ივარაუდება ქართული ენობრივი აზროვნების მნიშვნელოვან მხარედ.

2. აფექტურ და „ცნობიერება“ წრის გამომხატველ ზმნებად ქართულში წარმოდგენილია საშუალო გვარის მწკრივანაკლი ზმნები: **დუმს, ყვავის, უკვირს...**; ინვერსიული პასივები (ენიანი ვნებითები): **ენადვლება, ეძინება, ეჯავრება...** ქცევანაკლი, უქცეო ზმნები: **იცის, უყვარს, ახსოვს...** მწკრივმონაცვლე: **უწყის, უნდა** (აკ. შანიძის მიხედვით ე. წ. „უგვარო“ ზმნები), ასევე გუნების ვნებითები: **ემღერება, ეცინება, ეტირება...**

3. ქართულ ენაში (ძველშიც, ახალშიც) აფექტურ და ცნობიერება-წრის ზმნათა საკმაოდ რთული ფორმოზრთის-სისტემური კონსტრუქცია შეინიშნება, გაცილებით რთული, ვიდრე ეს ინდოევრო-

პულ ენათა მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურებშია წარმოდგენილი. გრამატიკული თვალსაზრისით ეს სირთულე თავს იჩენს ბინარულ სისტემაში, რომელსაც ქმნის საერთო ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ორი გრამატიკული რიგი, განსაკუთრებით რეალური სუბიექტის გამოხატულების ორი გამოკვეთილი რიგი: **ვინისა** და **მანისა**. კერძოდ, კონსტრუქციულად ერთმანეთს უპირისპირდება სხვადასხვა გრძობისა და შეგრძნების, ანდა მდგომარეობის გამომხატველი ზმნები. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე სემანტიკური ქვეჯგუფის შემქმნელი ზმნური წყვილები.

**სურვილი:**

- მინდა — ვინდომებ
- მსურს — ვისურვებ
- მნებავს — ვინებებ
- მწადია — მოვიწადინებ
- მეხასიათება — მოვიხასიათებ

**შიში-რიდი:**

- მეშინია — ვშინდები,
- მერიდება — ვერიდები

**ფიქრი, ეჭვი:**

- მგონია — ვგონებ
- მეეჭვება — ვეჭვობ
- მეფიქრება — ვფიქრობ

**ძილ-ღვიძილი:**

- მძინავს — ვიძინებ
- მღვიძავს — ვიღვიძებ

**სიყვარული, მოწონება:**

- მიყვარს — ვიყვარებ
- მომწონს — ვიწონებ

**დანანება— შეცოდება:**

- მენანება — ვნანობ
- მებრალება — ვიბრალებ
- მეცოდება — ვიცოდებ

**რწმენა:**

- მწამს — ვიწამებ
- მჯერა — ვიჯერებ

**ხსოვნა:**

- მახსოვს — ვიხსომებ
- მახსენდება — ვიხსენებ
- მაგონდება — მოვიგონებ

**სიცილ-ტირილი:**

- მეცინება — ვიცინი
- მეტირება — ვტირი
- მელიმება — ვილიმი

**სიძულვილი:**

- მძულს — ვიძულვებ
- მეჯავრება — ვიჯავრებ

**ფიზიოლოგიური რეაქციები:**

- მახველებს — ვახველებ
- მაკანკალებს — ვკანკალებ
- მასლოკინებს — ვასლოკინებ

4. აღნიშნულ ორ რიგს გარდა მორფოლოგიური ნიშნებისა, ის სინტაქსური სპეციფიკაც განარჩევს, რომ მანის რიგი სუბიექტის დატიურ კონსტრუქციას გულისხმობს, ხოლო ვინის რიგი ნომინატიურ/ერგატიულს.

5. ამგვარი ბინარული სისტემის არსებობა მკვეთრად განასხვავებს ქართულს რუსულისა და ინგლისურისაგან.

6. აფექტურ და „ცნობიერება“ წრის გამომხატველ ზმნათა ბინარული სისტემა ქართულში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს *სტატიკა-დინამიკის ოპოზიციის თვალსაზრისით* (შდრ.: სტატიკური **მიყვარს** და დინამიკური **ვიყვარებ**) და კაუზაციის თვალსაზრისითაც (ნეტავ **გამაგებინა**, შდრ.: ნეტავ **გავიგო...**). მანისა და ვინის რიგების მონაცვლეობა ამ შემთხვევაშიც ნიშანდობლივია.

7. ინდოევროპულ ენებში აღნიშნული ზმნები ფორმობრივად გარდამავალ ზმნებთანაა გათანაბრებული, მაგრამ გარდამავალ ზმნათაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევიან. ინგლისურში ამ სემანტიკის ზმნები ვერ აწარმოებენ პროგრესულ ასპექტს (ლაიონზი, 1978, გვ. 334), ასევე განსხვავებულ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან გერმანულში (ბენვენისტი, 1974, გვ.145). სპეციფიკურ სურათს გვიჩვენებს ეს ზმნები მთის კავკასიურ ენებში (ხუნძურში ხუთი სახის ზმნური კონსტრუქციიდან (ნომინატიური, ერგატიული, დატიური, პოსესიური, ლოკატიური) გრძნობა-აღქმის ზმნები მეხუთე, ადგილობრივი კონსტრუქციის მოითხოვს (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამბა, თბ., 1962, გვ. 242.).

8. იმერულსა და რაჭულ დიალექტებში აფექტურ, გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში მიცემითში დასმული II და III პირების მრავლობითობა **-ყე** სუფიქსით აღინიშნება (გესმის-ყე თქვენ, გძინავს-ყე თქვენ, ძალ-უც-ყე მათ, გიყუარს-ყე თქვენ, უყვარს-ყე მათ...).

9. საგულისხმოა *verba sentiendi*-ს რიცხვში შეთანხმება მიცემითში დასმული აქტანტის (ლოგიკური სუბიექტის) მრავლობითობის აღსანიშნავად (შდრ.: **უყვარს მას** ის — **უყვართ მათ** ის, **სცივა მას** — **სცივათ მათ**) ქართულსა და ქართველურ ენათა დიალექტებში.

ამ ზმნების სინტაქსური თავისებურება ისაა, რომ რთულ წინადადებაში მათ დამატების პირი ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ, რის გამოც, აგებულებით სამპირიანი ზმნა ორპირიანის როლში გამოდის, ორპირიანი კი ერთპირიანის როლში. ქართველური ენების ჰიპოტაქ-

სური სტრუქტურის შესწავლისას ცალკე გამოყოფენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც მთავარი წინადადების შემასმენლად ნახმარია გრძნობისა და თქმა-ბრძანების გამომხატველი ზმნები (*verba sentiendi et declarandi*), რადგან ამ ზმნების შემდეგ ფაქტობრივად მოსალოდნელია ყველა სახის საკავშირებელი სიტყვა.

10. ერთ-ერთ მნიშვნელოვან და, ამასთან სხვა ენებთან მიმართებით, ქართულისათვის სპეციფიკურ პარამეტრად უნდა ჩაითვალოს *უარყოფითი ნაწილაკების სინტაგმატიკა* მანის რიგის ზმნებთან. თუ ვინის რიგის ნებისმიერი სემანტიკის ზმნებთან მათი ხმარება პრაქტიკულად შეუზღუდავია (**არ ვწერ, ვერ ვწერ; არ ვფიქრობ, ვერ ვფიქრობ**), მანის რიგის ზმნები პოტენციის გამომხატველ **ვერ** ნაწილაკს ვერ იგუებენ (არ იხმარება: \*ვერ მიყვარს, \*ვერ მშობა, \*ვერ შემიძლია...). დაახლოებით იგივე ითქმის **ნუ** ნაწილაკზედაც, რომელიც აკრძალვითი ბრძანებითის ფორმასთან იხმარება მეტწილად აქტიურ ზმნებში (შდრ.: **თავს ნუ იციებ** და \***ნუ გცივა!**).

ქართველური ენების გრძნობა-აღქმის ზმნათა შედარება-შეპირისპირებას ინდოევროპულ ზნებთან თეორიულთან ერთად წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც ენიჭება იმის დასადგენად, თუ რა ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს იყენებს ეს ენები განსახილველ ზმნათა სფეროში ინდოევროპულ ენებთან შედარებით და პირუკუ: რა საშუალებებს იყენებენ ეს ევროპული ენები სათანადო ქართული ბინარული სისტემის საპირისპირო კონსტრუქციების გადმოსაცემად. ივარაუდება, რომ ენობრივი სისტემის შიგნით გრამატიკულ და სემანტიკურ ელემენტებს შორის მიმართებათა გამოვლენა და დაზუსტება ამ ელემენტთა ხმარების ფუნქციონალური მხარის გამოსაკვლევად არაერთ საგულისხმო შედეგს მოგვცემს.

## ლ ა ლ ი ე ზ უ გ ბ ა ი ა (თბილისი)

### ნასახელარი ზმნების წარმოება მეგრულში

1. ცნობილია, რომ ენაში სიტყვაწარმოება მორფოლოგიური მოდულების შესაძლებლობებისა და სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელია. ქართველურ ენებში სიტყვაწარმოების აქტიური უბანია ნასახელარი ზმნები. სალიტერატურო ენის ტრადიციები და ფუნქციონირე-

ბის სფეროს გაფართოება ხელს უწყობს მორფოლოგიური მოდელის, წარმოქმნილი აფიქსების გააქტიურებას. იმავეს ვერ ვიტყვით არასამწერლობო ენებზე, მათ შორის მეგრულ-ლაზურზე.

2. ქართულში სახელური ფუძეებიდან ზმნების წარმოება ძირითადად პირველადი კაუზაციის **ა** — **ებ** მოდელით ხდება და არსებითად გარდაქცევითობის სემანტიკის მქონეა. როგორც წესი, ზმნურ ფუძეებად გადაქცევისას გარკვეული ფონოლოგიური წესები მოქმედებს. მაგ., თანხმოვანფუძიანი კუმშვადი სახელებიდან ზმნურ მოდელში გადავა შეკუმშული ფუძე: **მაღალ-**: **ა-მაღლ-ებ-ს**, **კედელ-**: **ა-კედლ-ებ-ს**, თუმცა ერთმარცვლიანი ფუძეების შემთხვევაში არარედუცირებული ფუძეა გამოყენებული: **მტერ-**: **ა-მტერ-ებ-ს**; **მგელ-**: **ა-მგელ-ებ-ს**... ასევე ყურადღება ექცევა ხმოვანფუძიან სახელთა დაბოლოებას და სხვ.

3. მეგრულში პირველადი კაუზაციის ისტორიული მოდელი **ო**-პრეფიქსითაა წარმოდგენილი: **ო-გ-ან-ს** „ა-გ-ებს“, **ო-რჩ-ან-ს** „აფენს“, **ო-ძირ-ან-ს** „აჩვენებს, ანახვებს“, **ო-დგინ-ან-ს** „აღგენს, აყენებს“... ძირეული ზმნური ფორმები ამ მოდელითაა ნაწარმოები, თუმცა მათი რაოდენობა ძალიან შეზღუდულია. რეალურად თანამედროვე მეგრულში ამ მოდელის რეალიზაცია არ ხდება. ცხადია, ნასახელარი ზმნების წარმოქმნა მეგრულშიც მიმდინარეობს და ძირითადად ქართულიდან ნასესხები პირველადი კაუზაციის ყალიბით. ჩვეულებრივია ისეთი ფორმები, როგორც **ა-კეთ-ენ-ს** „აკეთებს“, **ა-შენ-ენ-ს** „აშენებს“...

არსებითად, **-ენ**, **-ან** თემის ნიშნები **ებ** თემის ნიშნის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს და ისიც ცნობილია, რომ თემის ნიშანთა უნიფიკაცია მოხდა ზანურში. ჩვენ დავინტერესდით, თუ რა კანონზომიერება იჩენს თავს **ა** — **ენ/ან** მოდელით სახელური ფუძის გაფორმებისას და როგორ ხდება სახელთა თავისებურებების ასახვა ზმნურ ფორმებში.

4. ზანურშიც სახელური ფუძეები დაბოლოების მიხედვით ორ ტიპს ქმნის: თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი. არსებითი თავისებურება, რაც ქართლისგან განასხვავებს, არის რედუქციის სუსტი ძალა. კერძოდ, მხოლოდ რიცხვში ნებისმიერი სახელური ფუძე უცვლელია. თუმცა ეს ერთგვაროვნება ირდევს მრავლობით რიცხვში. კერძოდ, **ა** და **ე** ხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები იკვეცება: **კვატა-**: **კვატ-ეფ-ი** „იხვი“, **კართე-**: **კართ-ეფ-ი** „კალთა“... გამონაკლისია ის სახელები, რომელთა ბოლოკიდური ხმოვანი ოდინდელი დეტერმინანტი სუფიქსის ნაწილია და მრ.-ში აღდგება **-ლ** სონორი: **და-**

**დალ-ეფ-ი** „დები“, **ჯიმა-**: **ჯიმალ-ეფ-ი** „ძმები“...

როგორც მოსალოდნელი იყო, ზმნური წარმოქმნის პროცესში ენა არჩევანს აკეთებს მრავლობითი რიცხვის სახელური ფუძეების სასარგებლოდ. კერძოდ, წარმოქმნება შემდეგი ტიპები:

ა) თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები და **ო**, **უ** ხმოვანზე დამთავრებული ფუძეები უცვლელად გადადის პირველადი კაუზაციის მოდელში:

**კოჩი-**: **ა-კოჩ-ენ-ს** „აკაცებს“

**ძღაბი-**: **ა-ძღაბ-ენ-ს** „აქალიშვილებს“

**კაბიტო-**: **ა-კაბიტო-ენ-ს** „აკაბდობს“

**კალუ-**: **ა-კალუ-ენ-ს** „აკაუჭებს“

თუმცა ამ ჯგუფში შეიძლება გვქონდეს გამონაკლისი სწორედ ხმოვანფუძიანებთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს ფუძის კვეცას: **ბორო-**: **ა-ბორ-ენ-ს** „ასულელებს“, თუმცა ეს შემთხვევა ჯერ-ჯერობით ერთეულია და არაა მოსალოდნელი ტენდენციად ჩამოყალიბდეს.

ბ) **ა**- ხმოვანზე დაბოლოებული სახელები, რომლებსაც მრავლობითში აღუდგებათ ხმოვანგამყარი **ლ** სონორი, გაზმნავების შემთხვევაში, როგორც წესი, მრავლობითის ფუძეს ემყარებიან:

**ჯიმა-**: **ჯიმალ-ეფ-ი** : **ა-ჯიმალ-ენ-ს** „ამძობილებს“

**სქუა-**: **სქუალ-ეფ-ი** : **ა-სქუალ-ენ-ს** „აშვილებს“

**ფსუალ-**: **ფსუალ-ეფ-ი** : **ა-ფსუალ-ენ-ს** „აფრთავებს“...

გ) **ა**-ზე და **ე**-ზე დაბოლოებული ფუძეები, რომლებიც ისტორიულად თანხმოვანფუძიანი იყო, თუმცა სახელურ პარადიგმებში ეს არ ჩანს. მაგ.: **ჭითა**, შდრ. **წითელ-ი**. ბრუნების პარადიგმაში იმავე **ჭითა** ფუძე დასტურდება ორსავე რიცხვში: **ჭითა** ~ **ჭით-ეფ-ი**, მაგრამ გაზმნავების პროცესში აღდგება თავდაპირველი ფუძე: **ა-ჭითარ-ენ-ს** „აწითლებს“. ასეთი შემთხვევები ძირითადად გვხვდება ზედსართავ სახელურ ფუძეებთან. მაგალითები:

**გინძე-**: **გინძ-ეფ-ი** : **ა-გინძარ-ენ-ს** „აგრძელებს“

**კუნტა-**: **კუნტ-ეფ-ი** : **ა-კუნტარ-ენ-ს** „ამოკლებს“

**ჭიჭე-**: **ჭიჭ-ეფ-ი** : **ა-ჭიჭარ-ენ-ს** „აპატარავებს“

**მონკა-**: **მონკ-ეფ-ი** : **ა-მონკარ-ენ-ს** „ამძიმებს“

როგორც ჩანს, **-ე** დაბოლოება სახელურ ფუძეებში მეორეულია.

ამავე ტიპისაა **უ**-ზე დაბოლოებული **ლიბუ** „რბილი“, **თითხუ** „თხელი“, რომელთა თავდაპირველი ფუძე გამოჩნდება ზმნებში: **ა-ლიბორ-ენ-ს** „არბილებს“, შდრ. **ლიბუ-ეფ-ი** „რბილები“; **ა-თითხორ-ენ-ს** „ათხელებს“, შდრ. **თითხუ-ეფ-ი** „თხელები“. აღსანიშნავია, რომ **-არ/-**

ორ სუფიქსების მონაცვლეობა დამახასიათებელია ზანურისთვის. ჩვეულებრივია შემდეგი ფორმები: **ა-ჭითორ-ენ-ს**, **ა-გინძორ-ენ-ს** და სხვ. დ) **-ა** და **-ე** ბოლოხმოვნიანი ფუძეები, რომლებიც ჩვეულებრივ იკვეცება როგორც სახელის მრავლობით რიცხვში, ასევე ზმნური წარმოების დროსაც:

- ფურჩა: ა-ფურჩ-ენ-ს** „ფოთლებად აქცევს“
- მარკვა: ა-მარკვ-ენ-ს** „ამურკლებს“
- ზარფანა: ა-ზარფან-ენ-ს** „აზაფრანებს“
- ფოქვა: ა-ფოქვ-ენ-ს** „გამოქვაბულად აქცევს“
- ცვერე: ა-ცვერ-ენ-ს** „აბრმავებს“
- ხირკე: ა-ხირკ-ენ-ს** „წყლის ჭურჭლად გადააქცევს“

ე) მეგრულში უხვადაა ქართულიდან ნასესხები ფუძეები. აღსანიშნავია, რომ **ა-ზე** დაბოლოებული ფუძეების სესხების შემთხვევაში ზმნური მოდელის სესხებაც ხდება. იგულისხმება **ა-სუფთავ-ებ-ს** ტიპის წარმოება.

მეგრულში უცვლელად გადმოდის წარმოების ეს მოდელი, თუმცა პარალელურად შესაძლებელია შეკვეცილი ფუძეების გამოყენება. მაგალითად:

- ა-სუფთავ-ენ-ს : ა-სუფთავ-ენ-ს** „ასუფთავებს“
  - ა-ახალგაზრდ-ენ-ს : ა-ახალგაზრდავ-ენ-ს** „ახალგაზრდავებს“
- აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღნიშნულ მოქმ. გვარის ზმნურ ფორმებს პრეფიქსული ვნებით ეწარმოება და უცვლელად გადადის მოქმედებითი გვარის ფუძე:

- ა-კორ-ენ-ს : ი-კორ-ებ-უ** „კაცდება“
- ა-კოტო-ენ-ს : ი-კოტო-ებ-უ** „დოქდება“
- ა-ჯიმალ-ენ-ს : ი-ჯიმალ-ებ-უ** „მობილდება“
- ა-მარკვ-ენ-ს : ი-მარკვ-ებ-უ** „მურკდება“
- ა-ცვერ-ენ-ს : ი-ცვერ-ებ-უ** „ბრმავდება“
- ა-ჭიჭარ-ენ-ს : ი-ჭიჭარ-ებ-უ** „ბატარავდება“
- ა-გინძარ-ენ-ს : ი-გინძარ-ებ-უ** „გრძელდება“

გამონაკლისია **ჭითა** ფუძე, რომელსაც დონიანი ვნებითი ეწარმოება:

- ა-ჭითარ-ენ-ს : ი-ჭითარ-ებ-უ**
- ა-ჭითორ-ენ-ს : ჭითონ-დ-უ**

ცხადია, რომ მეგრულში ნასახელარი ზმნების წარმოება ქართულიდან ნასესხები მოდელით ხდება, თუმცა მთლიანად არის დაცული სახელური ფუძეებისთვის დამახასიათებელია მორფონოლოგიური თავისებურებები.

**თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე** (თბილისი)


**რელატიურ-გარდამავალზმნიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების (ქართლური, კახური) მიხედვით**

აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში (ქართლურსა და კახურში) რელატიურ-გარდამავალზმნიან შესიტყვებათა სინტაქსური მექანიზმი აგებულია კოორდინაციის საფუძველზე.


ქართლურსა და კახურში გამოიყოფა რელატიურ-გარდამავალზმნიანი შესიტყვების ორი ძირითადი ტიპი:

ა) ორსახელიანი რელატიურ-გარდამავალზმნიანი შესიტყვება, როცა ზმნა (ძირითადი კოორდინატი) მართავს ბრუნვის მიხედვით მასთან დაკავშირებულ ორსავე სახელურ კოორდინატს: მორფოლოგიურ სუბიექტს სახელობითსა და მოთხრობითში, ხოლო მორფოლოგიურ ობიექტს მიცემითსა და სახელობითში, ამავე დროს თავად (ზმნა) იმართვის სახელური კოორდინატების მიერ პირში და ეთანხმება მათ რიცხვის მიხედვით (რეალურად ან პოტენციურად):

**ქართლური**





**კახური**





ბ) სამსახელიანი რელატიურ-გარდამავალზმნიანი შესიტყვება, როცა ძირითადი კოორდინატი იმავე ბრუნვებში მართავს ორ სახელურ კოორდინატს (მორფოლოგიურ სუბიექტს სახელობითსა და მოთხრობითში, ბრუნვაცვალეზად მორფოლოგიურ ობიექტს მიცემითსა და სახელობითში), ხოლო მესამე კოორდინატი (ბრუნვაცვლელი მორფოლოგიური ობიექტი) მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაშიც ძირითადი კოორდინატი მართულია სახელური კოორდინატების მიერ პირში და შეთანხმებულია მათთან რიცხვის მიხედვით (რეალურად ან პოტენციურად).

**ქართლური**



**კახური**



## რ უ ს უ დ ა ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (თბილისი)

### კვლავ მოდალური ფორმებისათვის სვანურში

ნატვრობითის სემანტიკის გამომხატველი ზმნები, რომლებსაც სამეცნიერო ლიტერატურაში პირობითად მოდალურ ზმნებს უწოდებენ (რ. ჭკადუა), სვანურში ფორმის მიხედვით მეტწილად ემთხვევა კაუზატიურ ფორმებს. განსხვავებას მათ შორის მხოლოდ სუფიქსი წარმოადგენს. კაუზატიურ ფორმებს აწმყოში სუფიქსად აქვთ -ე მაწარმოებელი, მოდალურ ფორმებს კი -ი. მაგალითად:

მოდალ.

ბქ.  
მპჭმ-უნ-ნ-ი „თიბვა მინდა“  
მპზნ-უნ-ნ-ი „დაწყება მინდა“  
მათრ-უნ-ნ-ი „დალევა მინდა“  
მპკდ-უნ-ნ-ი „აღება მინდა“  
მაყპალ-ნ-ი „კოცნა მინდა“  
მახრ-უნ-ნ-ი „კრეფა მინდა“  
მაშვალ-ნ-ი „წველა მინდა“  
მაზელალ-ნ-ი „სიარული მინდა“

ლნტ.

მპჭმ-უნ-ნ-ი „თიბვა მინდა“  
მპზნ-უნ-ნ-ი „დაწყება მინდა“  
მათრ-უნ-ნ-ი „დალევა მინდა“  
მპკდ-უნ-ნ-ი „აღება მინდა“  
მაყპალ-უნ-ი „კოცნა მინდა“  
მახორ-უნ-ნ-ი „კრეფა მინდა“  
მაშვალ-უნ-ი „წველა მინდა“  
მაზელალ-უნ-ი „სიარული მინდა“

ლმხ., ჩოლ.

მპჭმ-უნ-ნ-ი „თიბვა მინდა“  
მპზნ-უნ-ნ-ი „დაწყება მინდა“  
მათრ-უნ-ნ-ი „დალევა მინდა“  
მპკდ-უნ-ნ-ი „აღება მინდა“  
მაყპალ-უნ-ი „კოცნა მინდა“  
მახრ-უნ-ნ-ი „კრეფა მინდა“  
მაშვალ-უნ-ნ-ი „წველა მინდა“  
მაზელალ-უნ-ნ-ი „სიარული მინდა“

კაუზატ.

მპჭმ-უნ-ნ-ე „მათიბვინებს“  
მპზნ-უნ-ნ-ე „მაწყებინებს“  
მათრ-უნ-ნ-ე „მაღევივინებს“  
მპკდ-უნ-ნ-ე „მაღებინებს“  
მაყპალ-ნ-ე „მაკოცნინებს“  
მახრ-უნ-ნ-ე „მაკრეფინებს“  
მაშვალ-ნ-ე „მაწველივინებს“  
მაზელალ-ნ-ე „მასიარულვებს“  
და ა. შ.

მპჭმ-ალ-ნ-ე „მათიბვინებს“  
მაზნ-უნ-ნ-ე „მაწყებინებს“  
მათრ-უნ-ნ-ე „მაღევივინებს“  
მპკდ-უნ-ნ-ე „მაღებინებს“  
მაყპალ-უნ-ე „მაკოცნინებს“  
მახორ-უნ-ნ-ე „მაკრეფინებს“  
მაშვალ-უნ-ნ-ე „მაწველივინებს“  
მაზელალ-უნ-ნ-ე „მასიარულვებს“  
და ა. შ.

მპჭმ-ალ-ნ-ე „მათიბვინებს“  
მაზნ-უნ-ნ-ე „მაწყებინებს“  
მათრ-უნ-ნ-ე „მაღევივინებს“  
მპკდ-უნ-ნ-ე „მაღებინებს“  
მაყპალ-ნ-ე „მაკოცნინებს“  
მახრ-უნ-ნ-ე „მაკრეფინებს“  
მაშვალ-ნ-ე „მაწველივინებს“  
მაზელალ-ნ-ე „მასიარულვებს“  
და ა. შ.

განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს ბალსზემოური დიალექტი, სადაც კაუზატიური და მოდალური ფორმები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს და მათ შორის რაიმე ფორმობრივი განსხვავება არ შეინიშნება, თანაც სუფიქსად -ე დასტურდება (გამონაკლისს წარმოადგენს ორი ფორმა: მპწლუნ-ი; მპწუნ-ი).

მაგ:

მპჭმ-უნ-ე „თიბვა მინდა“; „მათიბვინებს“  
მპზნ-უნ-ე „დაწყება მინდა“; „მაწყებინებს“  
მათრ-უნ-ე „დალევა მინდა“; „მაღევივინებს“  
მპკდ-უნ-ე „აღება მინდა“; „მაღებინებს“  
მაყპალ-ნ-ე „კოცნა მინდა“; „მაკოცნინებს“  
მახრ-უნ-ე „კრეფა მინდა“; „მაკრეფინებს“  
მაშვალ-ნ-ე „წველა მინდა“; „მაწველივინებს“  
მაზელალ-ნ-ე „სიარული მინდა“; „მასიარულვებს“ და ა. შ.

## ცი ც ი ნ ო კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი (თბილისი)

### ზმნისწინისა და თემის ნიშანთა მონაცვლეობის საკითხისათვის ქვემოიმერულში

(„შინამრეწველობის მასალების“ მიხედვით)

„შინამრეწველობის მასალების“ ქვემოიმერულმა ტექსტებმა აჩვენა ბევრი თავისებურება ზმნისწინისა და თემის ნიშნების წარმოების თვალსაზრისით. ზმნისწინები და თემის ნიშნები ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლებიან.

განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს:

**მო-** ზმნისწინი ცვლის **ჩამო-** ზმნისწინს:

**მოვეხსნებით**

„ქვა სანამ არ დაიშლება, უნდა ქონდეს ცეცხლი და როდესაც დაიშლება, ხელად **მოვეხსნებით**“ (სოფ. საპაიჭაო, ვანის რ-ნი).

**შე-** ზმნისწინი ცვლის **და-** ზმნისწინს:

**შეხვანა**

„ჩვენ პირველი **შეხვანას** დავიწყებთ თებერვალში ან მარტში“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

**და-** ზმნისწინი ცვლის **მო-** ზმნისწინს:

**დაშაო**

„ღიხამო მიწა ფერად **დაშაოა**“ (სოფ. ვანი).



თავისებურება შეიმჩნევა თემის ნიშანთა გამოყენების მხრივაც. უპირველესად აღსანიშნავია ფუძედრეკადი ზმნების ქვემოიმერულისათვის განსხვავებული, უჩვეულო წარმოება. ფუძედრეკადი ზმნები ზოგჯერ დაირთავს -**ავ** თემის ნიშანს, ხანდახან -**ამ** თემის ნიშანსაც, ფუძისეული ხმოვანი კი არ იცვლება:

### **მოვგრნავ**

„გვერგვს ვაკეთებთ ნაძვის როკისაგან, **მოვგრნავთ** რგოლათ“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

### **მოვკრეფავთ**

„ენდრო ბალახი, რომ **მოვკრეფავთ**, გახმება ერთ კვირაში“ (სოფ. შუამთა, ვანის რ-ნი).

-**ავ** თემის ნიშანს ენაცვლება -**ამ** თემის ნიშანი:

### **დაიჭირამ, აუკრამ, მიაკრამ**

„ის (მიმინო) იჭირება ჩიტბადეთი, რომ **დაიჭირამ**, ორივე თვალს **აუკრამ** და ძაფით თავზე **მიაკრამ**“ (ქ. სამტრედია).

-**ამ** თემის ნიშანს ცვლის -**ავ** თემის ნიშანი:

### **დავაბავდით**

„(მშვილდისარს) გავთლიდით, გავასუფთავებდით, ბაწარს მოვრეხდით და **დავაბავდით** ზედ“ (ქ. სამტრედია).

-**ევ** სუფიქსი ენაცვლება -**ავ** თემის ნიშანს:

### **გავწურევდით, დავწურევდით**

„**ფიჭვს** ჯერ გამოვხარჩავდით, **გავწურევდით**, **დავწურევდით** იმას“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

ზოგჯერ -**ებ** თემის ნიშანი ენაცვლება -**ევ** სუფიქსს:

### **დებს**

„შველი ისეთი ცხოველია, რომ რილოზე (როცა თოვლი არ **დებს** მიწაზე) ძნელი მოსაკლავია“ (სოფ. ვენახჭალა, ბაღდათის რ-ნი).

-**ევ** სუფიქსი ენაცვლება -**ებ** თემის ნიშანს:

### **ვაბრუნევდი**

„დავახოვდით შალს ჯოხზე, ქვეშ კი გადებული ქონდა მოღრა ჩელტი და **ვაბრუნევდი** ზედ“ (სოფ. ნოლა, ხონის რ-ნი).

### **ასწრევს**

„თუ გვიან დავიწყე სიმინდის თესვა, ესეც მავნებელია და ვერც მაშინ **ასწრევს** დამწიფებას“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

-**ემ** თემის ნიშანი ენაცვლება -**ევ** სუფიქსს:

### **შეურემთ**

„დავჭრით ჭინჭარს, მოვხარჩავთ, **შეურემთ** შიგ ღერღილს და

ასე გამოვზრდით“ (ინდაურის ბუჩქებს) (სოფ. გორდი, ხონის რ-ნი).

-**ოვ** სუფიქსი ცვლის -**ობ** თემის ნიშანს:

### **გავაპოვდით**

„გადავჭრიდით ხეს, მერე **გავაპოვდით**“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

-**ობ** თემის ნიშანი ენაცვლება -**ებ** თემის ნიშანს:

### **დავიწყობთ**

„ჯერ **დავიწყობთ** ბადის ქსოვას ციდან, აქ მომსხო თვლები აქვს“ (სოფ. ხანი, ბაღდათის რ-ნი).

აქ ძირითადად წარმოადგინეთ ის მასალა, რაც დღეს ქვემოიმერულისათვის უჩვეულოა და იშვიათად ან საერთოდ აღარ იხმარება. შინამრეწველობის ტექსტებში კი ზმნისწინისა და თემის ნიშანთა ასეთი მონაცვლეობა არცთუ იშვიათია. ვფიქრობთ, ამ ტექსტების სათანადოდ შესწავლა ბევრ თავისებურებას თუ საინტერესო მოვლენას ან ფაქტს წარმოაჩენს.

## **თ ა მ ა რ ლ ო მ თ ა ძ ე (ქუთაისი)**

### **თემის ნიშანთა გამოყენებასთან დაკავშირებული თავისებურებები ქუთაისურ მეტყველებაში**

ენის განვითარების ბუნებრივი პროცესი ჯერ ცოცხალ მეტყველებაში აისახება, ხოლო შემდეგ გავრცელებულობის, გრამატიკული სისწორისა და ენის სისტემის უნიფიცირების გათვალისწინებით სალიტერატურო ნორმად იქცევა.

თემის ნიშნის გაჩენის ტენდენცია ქართული ენის დიალექტებში კარგა ხანია შენიშნულია. საინტერესო სურათს გვიჩვენებს ამ მხრივ ქუთაისური მეტყველება, სადაც ხშირად სოციალური ნიშნის მიხედვით განირჩევა დიალექტური და სალიტერატურო ფორმების გამოყენება.

თემის ნიშანი დასტურდება ფუძედრეკად ზმნებთან: მაგალითად, **აცალე, ჯერ ვერ წვვიტავს, წამევიდეს თუ არა**. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, მართალია „**წამევიდეს**“ არ გამოიყენებენ, მაგრამ **წვვიტავს** მათი მეტყველებისთვისაც დამახასიათებელი ფორმაა.

წყვეტილსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში -ი გახმოვანებით წარმოდგენილ ფუძეს დაერთვის -ავ თემის ნიშანი: **შენ ახლა ისეთ ასაკში ხარ, ბიძია, რო უნდა გლიჯავდე ყველაფერს.**

მხოლოდითი რიცხვის მესამე პირში, აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში გვაქვს -ევ: **გიას ატნევს ფულს შენთან და დახვითი.**

მყოფადში მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, უთემისნიშნო ზმნებთან დასტურდება -ებ-იანი წარმოება: **მეიყვანებენ ამ ბიჭებს და არი მერე შუა დამემდე რუზრუზი.** მაღალი წრის წარმომადგენლებთან პარალელურად დასტურდება სალიტერატურო ფორმაც.

ძალზე გავრცელებულია ქუთაისურ მეტყველებაში -ია დაბოლოება -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებთან: **ჩაუცვია/ჩოუცვია ტანსაცმელი და წასულა. დაუმალია თოფი ჩუმათ.**

-ებ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები, ხშირად -ობ ბოლოსართიანი ფორმებით იცვლება: **რას ღრიალობთ, გაჩუმიდით.**

ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან დასტურდება -ავ თემის ნიშნის ნაცვლად, -ამ ნიშნის გამოყენება. სხვა ქუთაისელებთან ეს მოვლენა არ შეინიშნება: **დაგკუმბლამთ ყურძენ და ისე გაყენფთ ღვინოს.**

ებრაელებთან დასტურდება აგრეთვე -ებ თემის ნიშნის ნაცვლად -ი: **ჩემ შვილ აბრალის ყველაფერ.**

## ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი (თბილისი)

### თურმეობითა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში

სვანური ზმნის უღლებადში თურმეობითი განსაკუთრებით რთული დროა როგორც წარმოების, ასევე სემანტიკური ნიუანსების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

გ. თოფურია სვანურში „თურმეს“ გაგების შემცველ ოთხ მწკრივს გამოყოფს; ქართული I და II თურმეობითის ბადალ მწკრივებს — ნამყოსრულსა და ნამყო წინარეწარსულს (რეზულტატიური I და II) III სერიაში განიხილავს, ხოლო სპეციფიკურ, საკუთრივ სვანურ I და II თურმეობითს — I სერიაში;

1. I თურმეობითის ფორმა შედგება აწმყოს სახედაო ქცევა + -ინ-ა (ბზ.), -უნ-ა (ბქ.) სუფიქსებისაგან (**ხ-წ-ბმ-ინ-ა** (ბზ.), **ხ-წ-ბმ-უნ-ა** (ბქ.) — „აბამდა თურმე“).

განსაკუთრებით თავისებური შედგენილობისაა II თურმეობითის ფორმები: **ლგ+მა+აწმყოს ფუძე+-უნ-ე** და მეშველი ზმნა, რომელიც III პირში ზოგჯერ არც დაერთვის (**ლგ-მ-გამ-უნ-ე ლი || ლგმგამუნ** — „აშენებდა თურმე, ნაშენება“).

მიუხედავად დიდი განსხვავებისა, გ. თოფურია I და II თურმეობითა შორის ბევრი საერთოს არსებობასაც ადასტურებს: უნახავის გადმოცემა, აწმყოს ფუძის გამოყენება, ფუძეში ფონეტიკური პროცესები; ჩვენი აზრით, მოქმ. გვარის ზმნათა თურმეობითებში სუფიქსთა -ინ- (ბზ.), -უნ- (ბქ.) იდენტურობაც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

ხომ არ აჯობებდა აღნიშნული მწკრივების გაერთიანება თურმეობითი I-ის სახელწოდებითა და შემდეგი ინტერპრეტაციით: მწკრივი, რომელიც სხვადასხვაგვარად ეწარმოება, ერთი მხრივ, სახედაო და სასხვისო, ხოლო, მეორე მხრივ, სათავისო და საარვისო ქცევის ზმნებს.

2. ნამყოსრულის მაწარმოებელია სუფიქსი -ა, რომლის წინაც აპრეფიქსიანი გარდაუვალ და აწმყოს სტატიკურ ფორმებს ხშირად ჩაერთვის **-ენ/-ენ** სუფიქსი: **ხამთქუ-ენ-ა** „სჩვევ{ებ}ია, სჩვეოდა თურმე“. გ. თოფურია აღნიშნავს, რომ მსგავსი მოვლენა ქართულშიც შეინიშნება და საკითხს, თუ რომელია უფრო ძველი, **ჰგონია** თუ **ჰგონებია**, **ხამთქუ-ა** თუ **ხამთქუ-ენ-ა**, ღიად ტოვებს.

ა. ონიანის აზრით, რადგანაც I თურმეობითის მაწარმოებელი ასეთ ფორმებშიც -ა არის, ამიტომ ელემენტები **-ენ, -ენ** უნდა წარმოდგენდნენ ფუძის ერთ-ერთი ვარიანტის კუთვნილებას. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ელემენტები მაინც სუფიქსებია, განვითარებული მას შემდეგ, რაც სტატიკური ვნებითის აწმყომ, როგორც ნ. ნათაძე აღნიშნავს, „მნიშვნელობის ევოლუციის შედეგად, **თურმე**“ს გაგება შეიძინა“; თუმცა, მისივე აზრით, ამ ფაქტმა „ასახვა ვერ პოვა ფორმაში რომელიმე მაწარმოებლის სახით.“ ჩვენი აზრით, არ გამოირიცხება, რომ მოცემულ შემთხვევაში **-ენ/-ენ** სწორედაც ამ საჭიროების საფუძველზე განვითარებულიყო, თუმცა პარალელური ფორმები (**ხარა** || **ხარენა** „ჰქონია“, **ხადგარა** || **ხადგარენა** „მოჰკვდომია“) დღემდე არსებობს.

3. ა. შანიძე განმარტავს, რომ მწკრივის შიგნით იცვლება პირი და რიცხვი; **უცვლელია დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა** (ხაზი ჩვენია — ქ. მ.).

შევნიშნავთ, რომ სვანურ I თურმეობითში (რეზულტატიური I) აქტისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებში; თუ ქართულში **უკრეფია — მოუკრეფია, უშენებია — აუშენებია** მხოლოდ ასპექტური ოპოზიციას (ეს ფორმები უნახაობის აქტს კონტექსტის გარეშე ცალსახად და მყარად ვერ გამოხატავენ), სვანურში ანალოგიური მდგომარეობა მხოლოდ **უზმნისწინო** ფორმებშია: ერთი და იგივე ზმნური ფორმა, კითხვითი, უკუთქმითი თუ წართქმითი კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ატარებდეს უნახაობის სემანტიკას ან მოკლებული იყოს მას; ძირითადპრევერბიანი ან რთულპრევერბიანი ზმნები მხოლოდ უნახაობის აქტის გამომხატველად გვევლინება აღნიშნული მწკრივის ფორმაში.

4. კოდორის ხეობაში მცხოვრებთა მეტყველებაში, რომელიც ინტერფერენციულობით ხასიათდება, ხშირია ბალსქვემო სვანეთიდან ოდესღაც გადასახლებულთა მიერ ბალსზემოური თურმეობითის ფორმების გამოყენება და პირიქით. ინტერფერენციითვე უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ნამყოსრულის საზედაო ქცევის ფორმებში წარმოდგენილი **-ენ/-ენ** ელემენტი, რომელიც, ჩვეულებრივ, ბალსზემოურის ნამყოწინარეწარსულში უგულებელყოფილია (ვ. თოფურია: **ხალჟენხ** „ჰქონოდათ“, **ხახლენხ** „სცოდნოდათ“), კოდორელ ბალსზემოელთა მეტყველებაში ხშირად დასტურდება: **ძარაღ ხეკუეს ბზათ ხალჟენენხ** — „იარალი მზად უნდა ჰქონოდათ“; **ამის ესერ მაა ფას ხაზ, ეკესერ ხეკუეს ჩუ ხახლენენხ** — „ამას რა ფასი ადევს, ის უნდა გცოდნოდათ“.

პრევერბის **ა-**, რომელიც ბალსქვემოურში **ო-**დ არის წარმოდგენილი, ხშირად კოდორელი ბალსზემოური კილოს წარმომადგენლების მეტყველებაშიც იჩენს თავს და ბალსზემოური **ამჰკეჟელიხ** „ამოწყვეტილან“, **ჩუალშინელი** „დამწვარა“ ფორმების ადგილას გვხვდება გრძელი ხმოვნებით გაფორმებული თურმეობითის ბალსქვემოური ფორმები: **ომჰკეჟელიხ, ჩუალშინელი...**

5. იდიომატურ გამოთქმებში, რომლებიც დალოცვას, წყევლას, ნატვრას გულისხმობენ, დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ზმნის კავშირებითი კილოს ფორმები იხმარება: „ბედნიერად გველოს“, „მიწა გაგისკდეს“... სვანური კი კიდევ უფრო მეტ არქაულო-

ბას ავლენს, ძველი ქართულისთვის ჩვეულ **-მცა** (სვ. **-უ** (ბზ.) **-ოლ** (ბქ.) ნაწილაკიან კონსტრუქციას იმეორებს და კვლავაც თურმეობითის ფორმებს იყენებს: **ხოჩა ლირდეჟ ოთვიდან** — „კარგი ცხოვრება მცა გაუტარებიათ — კარგი ცხოვრება გაატარონ“; **მიჩა ლადელუ ესერ ესქემა მარხის** — „მისი დღემც შემატებიაო მარხის = მისი დღე შეემატოსო მარხის“.

## თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე (თბილისი)

### პირიანობა და ვალენტობა ქართულში

ცნობილია, რომ იქ სადაც მდიდარია ზმნური მორფოლოგია, ნაკლები საჭიროებაა რიგი სხვა ტიპის კატეგორიების არსებობისა. პოლიპერსონალური ზმნა და ბრუნვათა სისტემა ათავისუფლებს სიტყვათა რიგს წინადადებაში.

ქართულ ზმნაში ხდება პირის რეფერენტთა შეხვედრა პრეფიქსულ პოზიციამ, რაც სათავეს უდებს უამრავ განსხვავებულ მოსაზრებას ამ თემაზე. ვფიქრობთ, რომ პირიანობისა და ვალენტობის საკითხი სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, პირიანობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ზედმიწევნით კორექტული ანალიზით არის მოცემული ტრადიციულ გრამატიკაში. არ შეიძლება ქართულ ზმნაში ნულოვანი მარკირების მქონე ან საერთოდ არამარკირებული პირები (Od. III) არ ჩაითვალოს პირიანობის შემადგენელ ელემენტებად, რადგან უღლების პარადიგმები პირიანობის სწორედ ასეთ გაგებას ემყარება და ამ პრინციპებზეა აგებული. ამდენად, პირიანობის შემოთავაზებულ „ახლებურ“ გააზრებას მრავალი წინააღმდეგობა ახლავს თან.

ქართულ ენაში ვალენტობის ცნების გააზრება ინდოევროპული მოდელის მიხედვით შეცდომა იქნებოდა. ტიპოლოგიური კვლევისათვის ღირებული იქნება, რომ ვალენტობა მიჩნეული იყოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად. მაშინ ვალენტობის მორფო-სემანტიკა, შესაბამისად, განსხვავებულად აისახება მონოპერსონალურ და პოლიპერსონალურ ენებში. შეგვეძლება უნივერსალური ერთეულების გამოყოფაც; კერძოდ, **აბსოლუტური ლინგვისტური**

უნივერსალია იქნება შემდეგი — ყველა ენაში არსებობს განსხვავებული ვალენტობის ზმნები და ამ სხვაობათა რეალიზება კი კერძო გრამატიკათა პრობლემებია.

დ ა მ ა ნ ა მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**პირის ნიშანთა ფუნქციური ცხრილი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის**

მოხსენებაში წარმოდგენილია ქართული ზმნის პირის ნიშანთა ფუნქციური ცხრილი დიატეზების მიხედვით, რომელიც ახასიათებს და წარმოაჩენს არა მხოლოდ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისა და (განსაკუთრებით) დიალექტების, არამედ ქართველური ენების ზმნის უღლებების სისტემას.

პირის ნიშნები		I დიატეზა (S-nom.-erg.) I-II სერიებში II დიატეზა (S-nom.-nom.) I,II,III სერიებში		I დიატეზა (S-dat.) III სერიებში III დიატეზა (S-dat.) I,II,III სერიებში	
		მხოლოდობით	მრავლობით	მხოლოდობით	მრავლობით
სუბიექტი	1	ვ-	-თ	მ-,	გვ- -თ
	2	ღ-, ხ-	-თ	გ-	-თ
	3	-ს, -ა, -თ	-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს	ღ-, პ-, ს-	-თ
ობიექტი	1	მ-		ვ-	-თ
	2	გ-		ღ- -	-თ
	3	ირიბი ობიექტი ღ-, პ-, ს-,  პირდაპირი ობიექტი პ-, ს-	- ღ, -თ	-ს, -ა	ღ-

ნ ა ნ უ ლ ი ნ ო ლ ა ი დ ე ლ ი (ბათუმი)

**ზმნასთან დაკავშირებული რამდენიმე თავისებური მოვლენა ქობულეთურ მეტყველებაში**

ქობულეთურ მეტყველებას ზოგჯერ თქმას (ბ. ჯორბენაძე), ზოგჯერ კიდევ კილოკავს უწოდებენ (შ. ნიჟარაძე). ქობულეთური გურულ და აჭარულ კილოებს შორის გარდამავალი ზონის მეტყველებაა. ამ მოსაზრებას ქობულეთურში უკვე დაფიქსირებულ ენობრივ თავისებურებებთან ერთად, ამყარებს ზოგიერთ ზმნასთან დაკავშირებული რამდენიმე საყურადღებო მოვლენა. მაგალითად: სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის **ჰ** ნიშნის ნაცვლად უმეტეს შემთხვევაში ახლაც **ხ** ბგერა გამოიყენება (*ხვავს, დახკარვა, მიხვვარა...*). ასევე, საწყისს **კეთება** ხშირად ენაცვლება **ქცევა** და **ქმნა**. **ქცევა** გამოიყენება I სერიის აწმყოს მწკრივის ფორმებით (*ექცევა, ექცეოდა, ექცეოდეს*), ხოლო **ქმნა** — მყოფადის მწკრივის ფორმებით (*იქს, იქდა, იქდეს*). დამახასიათებელია დროის გარემოების გამომხატველი ფორმები **ეიერს, გეიერს, გამეიერს...** (*ავლისას, ვავლისას, გამოვლისას...*), რომლებიც მიღებულია ძველი ქართული **რებასაგან** და აღნიშნავს ერთი მოქმედების პარალელურ სხვა მოქმედებას დროში.

ნ ი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (გორი)

**მოქმედების აღმნიშვნელი ტოპონიმები**

ტოპონიმთა ზმნური მოდელით დიდი ხანია დაინტერესდნენ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მკვლევარნი. არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს, ფორმირებაში ზმნები ნაკლებად მონაწილეობენ.

ზემო ქართლში, ჯავის, ცხინვალის რაიონებში რამდენიმე ტოპონიმი დავადასტურეთ. მცირე არის ზმნური ფუძეებით წარმოდგენილი ტოპონიმებიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმნები სათქმელს ზუსტად გადმოსცემენ, ისინი თითქოს მეტი ექსპრესიულობით ხასიათდებიან და მეტი გამომსახველობითი უნარიც აქვთ. აქ კარგად ჩანს

ქართველი კაცის დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენების მიმართ.

ხოხის კავკასი — ჯავის რაიონში, ცენტრალურ კავკასიონზე. ვახუშტი ბატონიშვილს მოცემული აქვს თავის „აღწერაში“. მეცნიერის განმარტებით, „კაცი და ცხენი მთაზე ხოხვით გადავა და ეს სახელი მთას შერჩა დღევანდლამდე“. ამოსავალი ფორმაა საწყისი — ხოხვა, ვ ბგერა დაიკარგა და სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმით მივიღეთ „ხოხი“.

ედისი — ნასოფლარი ჯავის რაიონში. ხალხური ეტიმოლოგიით ასე განიშარტება „ეე დის“, რაც მკავე წყლების ნაკადს უკავშირდება, რომელიც მდინარე ლიხვის ერთ-ერთ სათავეს წარმოადგენს.

არდისი — ნასოფლარი მეჯუდის ხეობაში. ხალხური ეტიმოლოგიით „არა დის“, რაც ზაფხულობით მდინარის დაშრობასთან არის დაკავშირებული.

მდინარე ყვირილამ სახელწოდება მიიღო სიტყვიდან ყვირილი, რაც მთლიანად შეესატყვისება მდინარის ხასიათს. რამდენიმე ადგილს გვხვდება მიკროტოპონიმი მყვირილია მთა. -ილ სუფიქსი ვნებითი გვარის მიმღეობას წარმოადგენს.

ცხინვალის დასავლეთით წუნარში დგას მეფე თამარის დროინდელი ტაძარი, რომელიც დახვეწილი პროპორციებით არ გამოირჩევა. ტაძარი თითქოს უნახავს მეფე ქალს და უთქვამს — „წუნ არისო“, დაწუნებული არის.

ზმნური ფუძეებით არის გაფორმებული მიკროტოპონიმები: დუღუნა, ზუზუნა, წონა — გაიწონა, ხწვა, რაც წვას ნიშნავს და სხვა.

სახელზმნით არის შედგენილი: ხარის საწოლი, ხარის საკლავი, ცხვრის საწოლი.

ასეთი ტოპონიმები ოცზე მეტია და იმისი დასტურია, რომ ზემო ქართლის მთიანი ნაწილი იმთავითვე ქართველთა წინაპარი ხალხით იყო დასახლებული.

## მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე (თბილისი)

### **ზოგიერთი სტრუქტურული მსგავსების შესახებ ქართული და სომხური ენების ზმნის სისტემაში**

1. ქართულ და სომხურ ენებს შორის ხანგრძლივი მრავალსაუკუნებრივი ურთიერთობის გამო ერთმანეთზე უშუალო გავლენითა და სტრუქტურული მსგავსებით აღბეჭდილი ბევრი საერთო მოვლენა შეინიშნება.

2. მსგავსებანი გამოვლენილია ორი ენის ზმნის სისტემებშიც. იგ. შილაკაძის მიერ შესწავლილია სომხური ენის უღლების კატეგორიები აკაკი შანიძის მწკრივის თეორიის შუქზე. აღნიშნულია, რომ სომხური ენის ე. წ. წინარეწარსული დროის ფორმები შეიცავენ უნახაობისა და თანამდევრობის კატეგორიებს, რომლებიც უნდა აისახოს სომხური ენის ზმნური ფორმების სახელდებაში. მის მიერვე, საზოგადოდ გამოთქმულია სხვა ხასიათის შეხედულებები, რომლებიც ძირითადად გაზიარებულია აკ. შანიძის მიერ. დასმულ საკითხებს საყურადღებოდ მიიჩნევენ და მთელ რიგ შემთხვევებში იზიარებენ სომეხი ენათმეცნიერები.

3. სომხური ენის ზმნის სისტემაში XII-XIII სს-დან მომავალი დროის ფორმების გამოსახატავად მკვიდრდება „კუ“ პრეფიქსი, რომელიც სომეხ და ქართველ მეცნიერთა (აკ. შანიძე, გ. ლაფანციანი) აზრით, ქართველური ენების გავლენით აიხსნება. მსგავსება შეინიშნება „უმ“ სუფიქსშიც, რომლებიც აწმყო და ნამყო უსრული ფორმების საწარმოებლად გამოიყენება და ქართველურ ენებშიც ანალოგიური ფუნქცია აქვს.

## ნ ა ნ ა ს ა ა კ ა ძ ე (თბილისი)

### **ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებანი ქვემოქართლურში**

ქართლური კილო განსხვავებულია ქართლის ცალკეული კუთხეების მიხედვით, განსხვავება იგრძნობა ხეობებსა და რაიონებს შორის

საც, ამიტომ მისი შესწავლა რეგიონული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართლურისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი ქართლის თითქმის ყველა კუთხის მეტყველებას ახასიათებს.

აღსანიშნავია, რომ ქართლის ზოგიერთი ადგილის მოსახლეობა თავისი ეთნიკური წარმოშობით ერთფეროვანი არ არის და ამასაც ერთგვარი გავლენა მოუხდენია თავისებური მეტყველების შექმნაში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ქვემო ქართლი. ქვემოქართლური ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობის მეტყველებაა, რომელიც გამოირჩევა ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებებით. მათგან აღსანიშნავია:

*შე-* ზმნისწინის ნაცვლად *შა-*ს ხმარება, თუ მას ფონეტიკური პროცესი ხელს არ უშლის, თითქმის მთელი ქართლურისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მარნეულის რაიონის ქართლურ სოფლებში (წერაქვსა და სიონში), რომლებიც ტერიტორიულად განკერძოებულია, ადგილი არა აქვს ამ მოვლენას და შენარჩუნებულია სალიტერატურო ქართლის ვითარება. პრევერბების დართვისას მთელ ქვემო ქართლში ხშირად გვხვდება *ამა/ამო* მონაცვლეობა: *ამაიტანა*, (*ამოიტანა*), *ამაილო* (*ამოილო*)...

მთელ ქვემოქართლურში ზმნათა უღლების დროს I სერიაში თემის ნიშნად გაბატონებულია *-ამ* ბოლოსართი *-ავ* სუფიქსთან, უთემისნიშნო, ფუძედრეკად *ი* თემის ნიშნიან ზმნებთან: *ბარამს*, *დავბატამ*, *დასწერამ*, *მარგლამს*, *წერამს*, *წყვეტამს*, *ყიდამს*... ამ მხრივ ქვემოქართლური უკავშირდება კახურსა და სხვა აღმოსავლურ კილოებს.

ქვემოქართლურში *-ამ* გვაქვს *-ებ* თემის ნიშნის ნაცვლადაც: *აშენამს*, *გავაკეთამ*, *ვაშენამ*, *ვაპურამ*... *აფუამს*, *აგუნდავამს*, *აპურამს*, *ანათამს*, *ავარჯიშამს*... აღნიშნული მოვლენა ჯერ კიდევ ადრევე იქნა შენიშნული და სპეციალურ ლიტერატურაში დამოწმებულია გომართლი მაგალითების მიხედვით (ვ. თოფურია). ჩანს, ამ შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს უნიფიკაციის ტენდენცია.

გავრცელებულია აგრეთვე თემის ნიშანთა შემდეგი მონაცვლეობანი:

*ამ/ავ:* *დავაბავ*, *გავჭყლიტავ*...

*ობ/ომ:* *გამოვაცხობ*, *მოვაწყობ*...

დასტურდება ზმნურ ფორმათა ამგვარი წარმოებაც: *სთლის*, *სჭრის*, *სჭამს*... (ბოლნისის რ-ნი).

ხშირად ხელსაყრელი ფონეტიკური პოზიციის გამო, იკარგება *ს* პირის ნიშანი მთელს ქვემო ქართლში და გვაქვს ფორმები: *ოცნებობ* (ვოცნებობ), *უხმობ* (ვუხმობ), *უკრავ* (ვუკრავ), *უწერ* (ვუწერ), *უხატავ* (ვუხატავ), *უკითხავ* (ვუკითხავ).

იგივე შეიძლება ითქვას აგრეთვე ლექსიკური დიფერენციაციის შესახებ ქვემო ქართლის სხვადასხვა რეგიონს შორის.

## რ უ ს უ და ნ ს ა ღ ი ნ ა ძ ე (თბილისი)

### ზმნური იმეროზმები

1. ზმნურ ფორმათა ძიებისა და დამკვიდრების პროცესის ამსახველ მდიდარ მასალას ყოველთვის იძლევა ენის სისტემის სხვადასხვა რგოლი და განსაკუთრებით დიალექტები.

ენა ვითარდება, ერთი მხრივ, ფორმათცვლილებისა და, მეორე მხრივ, ახალ ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობის შედეგად. აღნიშნულ მოვლენებს აქვს ადგილი დიალექტებშიც, მათ შორის, იმერულში.

2. ზმნურ ფორმათა ცვლილებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა საფუძველი:

ა) ფონეტიკური: **მიეხწევა, ზდიდა, მიბძანეთ, გაგძელდება, გაცარცვებს, დაინანსოვრე, ევივრება...**

ბ) მორფოლოგიური: **გაქვენ, ქონდენ, ეწვიენ, შეკრთენ, ხმაურობდენ, წუნლარიენ, დგალარიენ, ტირიენ...**

გ) ძველი ვითარება: **უნობს, უთხრობიათ, მივლენ...**

3. ხშირად ენის სისტემაში არსებული მარაგის გამოყენებით ჩნდება ახალი ზმნური დიალექტიზმები. ასეთია, მაგალითად, **აღაჭიალეს** (<აჭ, შდრ.: **დაჭა-ღუჭი**=ძნელად ღეჭვა (ქეგლ) და **დაჭუნ** (გურ.)=ძძიმედ ლაპარაკი) = გააჭიანურეს; **ნაჭავს** (< **ნაჭა** — 1. ნაჭა (იმერ., გურ., ლეჩხ.) — შუაცეცხლზე ქვების ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი, საკიდელი (ი. ჭყონ.); ჯაჭვი, საქვაბე (მ. ჩიქ.); 2. ნაჭა (გურ., აჭარ.) — წენგო (გ. შარაშ., შ. ნიჯარ.); 3. ნაჭა (ქვ. იმერ.) — ლაფანი, ლაფნის ხე (ა. მაყ.); 4. ნაჭა (ქვ. იმერ.) — პურის გალენის შემდეგ დარჩენილი ნაძვა (ზ. ჭუმბ.)...) = ნაჭას, კანს აკრავს; **ეკოწიაწება**

(**კოწიწი**, შდრ.: **კოწიწი** — ერთმანეთზე ჩამოკიდება, ბლლახუნი — პ. გაჩეჩ.)=ებლაუჭება, ეწევა (ქ. ძოწ.); **პუწიაწობდენ** (**პუწიაწი**, შდრ.: **დაპუწავს** — დაშლის, დაბურდავს (ძაფს...) — პ. გაჩეჩ.)=ირე-ოდნენ; **ლოწილობდა** (**ლოწილო**, შდრ.: **ლოწილო**)=ლოწილობს ან **ლოწილო**=ძლივს დადის, აგრეთვე იმერ. ღონციალი= 1. უღონოს სუსტი სიარული (ალ. ღლ.); 2. ქანაობა, რწევა (ი. ქავთ...) = დალოდავდა, ძლივს დადიოდა, არსებობდა; **მეწინველება** (**წინველ**)=თითქოს წინველები დადიან, ყრუანტელი მივლის; **გამოაწორიკა** (**წორიკი** — უწყაოფო, მოუსავლიანი ადგილი, ხრიკი — პ. გაჩეჩ.)=გამოაცარიელა...

იმერულის მასალას განვიხილავთ ქართული ენის საერთო სისტემის ფონზე.

## მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი (თბილისი)

### სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნათა უღლების ნიმუშები სვანურში

როგორც ცნობილია, სვანურ ზმნაში, ისევე როგორც ქართულში, საგანგებო ნიშნითაა წარმოდგენილი სუბიექტიცა და ობიექტიც, თუმცა შეიძლება ზმნაში ხან მხოლოდ სუბიექტური პირი ჩანდეს (მაგ.: **ხუ-** ადგარი „გ-კლავ“, **ხუ-**ასყი „ვაკეთებ“, **ხუ-**ავნი „ვხნავ“, **ხუ-**ახტატი „გხატავ“ და ა. შ.), ხან — მხოლოდ ობიექტური (მაგ.: **ჟ-**ადგარი „გკლავ“, **ჟ-**ისყი „გიკეთებ“, **ჟ-**ინი „გიხნავ“, **ჟ-**ახტატი „გხატავ“ და ა. შ.), ხანაც — არც ერთი (მაგ.: **ადგარი** „კლავს“, **ასყი** „აკეთებს“, **ავნი** „ხნავს“, **ახტატი** „ხატავს“ და ა. შ.). საგულისხმოა, რომ სვანურ ზმნაში, ქართულისგან განსხვავებით, ორ და სამპირიან ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის (პირდაპირი ან ირიბი) პირის ნიშნები ერთდროულად არასდროს არ არის წარმოდგენილი (შდრ. ქართ. **მ-**ხატავს-ს და სვან. **მ-**ახტატი). როდესაც ზმნას ვაუღლებთ (ანუ ვცვლით მას პირისა და რიცხვის მიხედვით), შეიძლება:

ა) ვცვალოთ მხოლოდ სუბიექტური პირი და უცვლელი დავტოვოთ ობიექტური:

მი	(S1)	ხუ-ადგარი „გკლავ“	}	ეწას  ეწის (03)
სი	(S2)	ხ-ადგარი „კლავ“		
ეწას  ეწის	(S3)	ადგარი „კლავს“		
ნაწ	(S1)	Si ლ-ადგარი-დ „გკლავთ“ Se ხუ-ადგარი-დ „გკლავთ“		
სგაწ	(S2)	ხ-ადგარი-დ „კლავთ“		
ეწაწ	(S3)	ადგარი-ხ „კლავენ“		

იმგვარ წყობას, როდესაც იცვლება სუბიექტის პირები (რიცხვის მიხედვითაც), ობიექტისა კი — არა, **სუბიექტური წყობა** ეწოდება.

ბ) ან კიდევ: ვცვალოთ ობიექტური პირი და სუბიექტური კი უცვლელი დავტოვოთ:

ეწას  ეწის (03)	}	მ-ადგარი „მკლავს“	მი	(01)
		ჟ-ადგარი „გკლავს“	სი	(02)
		ადგარი „კლავს“	ეწას  ეწის	(03)
		Oi გუ-ადგარი „გკლავს“	ნაწ	(01)
		Oe ნ-ადგარი „გკლავს“	ნაწ	(01)
		ჟ-ადგარი-ხ „გკლავენ“	სგაწ	(02)
		ადგარი „კლავს“	ეწაწ	(03)

თუ სუბიექტური პირი უცვლელია, ობიექტისა კი — ცვალებადი, ე. ი. ეს არის **ობიექტური წყობა**. როგორც ცნობილია, ქართული ორ და სამპირიანი ზმნების უმრავლესობას ორივე წყობა გააჩნია, მაგ.: ვ-აქებ... მ-აქებ-ს..., ვ-ათობ... მ-ათობ-ს..., ვ-აწითლებ... მ-აწითლებ-ს და სხვ., რასაც ვერ ვიტყვით სვანური ზმნის შესახებ, რადგანაც, როგორც უკვე ითქვა, ორ და სამპირიან ზმნებში სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშნები (ე. ი. **სუბიექტური და ობიექტური წყობა**) ერთდროულად ასახული არ არის. სვანურში გვაქვს ისეთი ზმნები, რომელთაც, როგორც წესი

ა) ან **მხოლოდ სუბიექტური წყობა** აქვთ (უცვლელ ობიექტად ამ შემთხვევაში მესამე ობიექტური პირია):

მი	(S1)	მ-იხალ „ვიცი“	} ეჯა  ეჯი (03)
სი	(S2)	ჯ-იხალ „იცი“	
ეჯას  ეჯის	(S3)	ხ-იხალ „იცი“	
ნა <sup>რ</sup> ა	(S1)	0i გუ-იხალ „ვიცი“	
	(S1)	0e ნ-იხალ „ვიცი“	
სგა <sup>რ</sup> ა	(S2)	ჯ-იხალ-ხ „იცი“	
ეჯა <sup>რ</sup> ს	(S3)	ხ-იხალ-ხ „იცი“	

ბ) ან მხოლოდ ობიექტური (უცვლელი პირი, ამჯერად სუბიექტი, კვლავ მესამეა):

მი	(01)	მ-აგდი „მეძინება“	} [ეჯი  ეჯა (S3)]
სი	(02)	ჯ-აგდი „მეძინება“	
ეჯას  ეჯის	(03)	ხ-აგდი „მეძინება“	
ნა <sup>რ</sup> ა	(01)	0i გუ-აგდი „მეძინება“	
	(01)	0e ნ-აგდი „მეძინება“	
სგა <sup>რ</sup> ა	(02)	ჯ-აგდი-ხ „მეძინება“	
ეჯა <sup>რ</sup> ს	(03)	ხ-აგდი-ხ „მეძინება“	

ზემოთ წარმოდგენილი იყო ერთპირიანი და ორპირიანი ზმნათა უღლებების ნიმუშები, სადაც ან მხოლოდ სუბიექტური წყობა გვქონდა, ან მხოლოდ — ობიექტური; რა შეიძლება ითქვას სამპირიანი ზმნების შესახებ? რა თქმა უნდა, აქაც იგივე მდგომარეობა გვაქვს, თუმცა თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სამპირიანი ზმნის უღლებების ნიმუშებს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობით:

ა) სუბიექტური წყობის სამპირიანი ზმნა:

მი	(S1)	ხ-აპტი „ვაძლევ“	} [ეჯის  ეჯას ეჯის  ეჯას (03)]
სი	(S2)	ხ-აპტი „აძლევ“	
ეჯას  ეჯი	(S3)	ხ-აპტი „აძლევს“	
ნა <sup>რ</sup> ა	(S1)	Si ლ-აპტი „ვაძლევ“	
	(S1)	Se ხ-აპტი „ვაძლევ“	
სგა <sup>რ</sup> ა	(S2)	ხ-აპტი „აძლევ“	
ეჯა <sup>რ</sup> ს	(S3)	ხ-აპტი-ხ „აძლევ“	

ბ) ობიექტური წყობის სამპირიანი ზმნა:

	მ-აპტი „აძლევს“	მი	(01)	ეჯის  ეჯას	(03)
	ჯ-აპტი „აძლევს“	სი	(02)	ეჯის  ეჯას	(03)
	ხ-აპტი „აძლევს“	ეჯას  ეჯის	(03)	ეჯის  ეჯას	(03)
ეჯას  ეჯი (03)	0i გუ-აპტი „აძლევს“	ნა <sup>რ</sup> ა	(01)	ეჯის  ეჯას	(03)
	0e ნ-აპტი „აძლევს“	ნა <sup>რ</sup> ა	(01)	ეჯის  ეჯას	(03)
	ჯ-აპტი-ხ „აძლევს“	სგა <sup>რ</sup> ა	(02)	ეჯის  ეჯას	(03)
	ხ-აპტი „აძლევს“	ეჯა <sup>რ</sup> ს	(03)	ეჯის  ეჯას	(03)

მოხსენებაში განხილული იქნება ასევე აწმყოში უღლების პარადიგმები პირთა ყველა შესაძლებელი კომბინაციით.

### მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

#### ორგანული და არაორგანული კუთვნილების გამოხატვისათვის საშუალო გვარის ზმნებთან ქართველურ ენებში

გარდაუვალ ზმნათა საქცეო სისტემის რაობისა და ფუნქციის შესახებ ქართველოლოგიაში სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს, მიჩნეულია, რომ ქცევის ბუნება გარდამავალ ზმნებში უფრო წარმოჩნდება (ა. შანიძე, 1953), რომ ქცევის მნიშვნელობა აბსოლუტური ზმნებით ვერ გამოიხატება (არნ. ჩიქობავა, 1936; ა. ონიანი, 1998), ამასთან, ქცევა გარდაუვალ ზმნებში მაინც განიხილება.

ბუნებრივია, რომ გარდაუვალ ზმნებში საშუალო გვარის ზმნებიც იგულისხმება.

ძველ ქართულში საშუალო გვარის საქცეო ოპოზიციები არც ისე ხშირია. საშუალო გვარის ზმნათა დიდ ნაწილს ქცევის მიხედვით მარკირებული ფორმები არ უჩანს. დასტურდება საქცეო (კუთვნილებითობის) სისტემის 1. სამწვერიანი: დგას, ა-დგას, უ-დგ-ს; ძე-ს, ა-ც, უ-ც... (მდგომარეობის აღმნიშვნელ მედიოპასივებში), 2. ორწვერიანი: ჩან-ს, უ-ჩ-ს; ა-ბ-ს, უ-ბ-ს... და ერთწვერიანი 3. დუ-მ-ს; ა-ხ-ს; უ-ყუარ-ს... არამარკირებული და მარკირებული, პირდაპირი და შებრუნებული წყობის რეალიზაციები.

ა- პრეფიქსი, როგორ ჩანს, მდგომარეობის სემანტიკის ზმნებთან ძირითადად ორგანული კუთვნილების აფიქსის მნიშვნელობით გვე-



ლინება, ასეა ეს დგას ზმნასთან (ადგს თავი, პირი, ცხვრი, ყური, რქაღ...), **ი-უ-** პრეფიქსები არაორგანულ კუთვნილებას გამოხატავენ (უდგას ცოლი, ცხუარი, აქლემი, ტაძარი, სენაკი... (ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996). **ა-** და **ი-უ-** პრეფიქსებს შორის რეფერენტების ასეთი გადანაწილება მსგავსი სემანტიკის სხვა ზმნებთანაც დასტურდება: ზი-ს, ა-ზი-ს, უ-ზის

ძუძუსა ჩემსა მჯდომი მაზის, რომელსა ჰრქვან კირჩხიბი. მ. ცხ. 191, 8.

რომელი გიზის გუერდით და გეკოცნების, მ. ცხ. 257, 41.

კუთვნილებითობის მნიშვნელობა მეტნაკლებად წარმოჩნდება ორწევრიანი ოპოზიციური სისტემების **ი-უ-** პრეფიქსებით მარკირებულ ფორმებში: ჩან-ს, უ-ჩ-ს; ღირ-ს, უ-ღირ-ს; ა-ბ-ს, უ-ბ-ს...

დასტურდება უპოზიციო ცალები, როგორც მარკირებული, ასევე არამარკირებულიც, პირდაპირი და შებრუნებული წყობით, კუთვნილების და არაკუთვნილებითი შინაარსით: ა-ხ-ს, უ-ყუარ-ს, ჰ-შორავ-ს, ეჭუ-ს, სუფევ-ს, დუმ-ს, ს-წუნ-ს / ს-წუნ-ობ-ს...

განხილულ ზმნათა საქცეო სისტემის ფორმალურ-სემანტიკური ანალიზი ძველ ქართულში გვაფიქრებინებს, რომ ამ სისტემისათვის ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობის გამომხატველ ზმნათა ქცევის სისტემისათვის, თავდაპირველად სივრცული მიმართების გამოხატვა უნდა ყოფილიყო ნიშანდობლივი. კუთვნილებითობა-მქონებლობის სემანტიკის გამოხატვა თანმხლები მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის ცვლილებებით სემანტიკური გადაწევის („ზედმყოფობა“ / „ორგლისმყოფობა“ > კუთვნილებითობა-მქონებლობა) შედეგია.

სალიტერატურო ქართული ენის ფაქტებზე დაკვირვება ძველიდან ახალი ქართულისაკენ საშუალო გვარის ზმნებთან საქცეო სისტემის ერთგვარი შეცვლების ტენდენციას ადასტურებს. ძველ ქართულში დულ-ს, წუხ-ს, ყარ-ს, ბრწყინავ-ს და ა. შ. ზმნებს, ქცევის მიხედვით საოპოზიციო ცალები არ ეძებნებათ, ახალ ქართულში კი ამ რიგის ზმნათა **ი-უ-** პრეფიქსიანი ფორმები (უ-დულ-ს, უ-წუხ-ს, უ-ყარ-ს, უ-ბრწყინავ-ს...) ჩვეულებრივია, კუთვნილება-მქონებლობის მნიშვნელობით და შებრუნებული წყობით.

სამწევრიან სისტემებში ქცევის პრეფიქსებს შორის ფუნქციათა ისეთი მკაფიო გადანაწილება ორგანული და არაორგანული კუთვნილების გამოხატვის თვალსაზრისით (შდრ. ძვ. ქართ. ა-დგ-ს / უ-დგ-ს და მისთ). ახალ ქართულში არ გვაქვს, **ა-** ხმოვანპრეფიქსი

(ა-დევ-ს...) გამოხატავს როგორც ზედმყოფობას, ასევე კუთვნილება-მქონებლობის მნიშვნელობას, **ი-უ-** პრეფიქსები (მ-ი-დევ-ს, უ-დევ-ს) — სივრცეში მყოფობისა და კუთვნილება-მქონებლობის მნიშვნელობებს.

საშუალო გვარის ზმნებისათვის (ძირითადად მედიოპასიური ტიპის ზმნებისათვის) სვანურსა და მეგრულ-ჭანურში დამახასიათებელია საქცეო სისტემის როგორც 1. სამწევრიანი, ასევე, 2. ორ- და 3. ერთწევრიანი რეალიზაციები, არსებითად ქართულის ანალოგიური სემანტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური ხასიათის ცვლილებებით.

- სვანური:** 1. ლგ „დგას“, ხ-ვ-გ „ადგას“, „აქვს“, ხ-რ-გ „უდგას“, „აქვს“  
სგურ „ზის“, ხ-ა-სგურ „აზის“, „აქვს“, ხ-ო-სგურ „ეზის“, „აქვს“  
2. ხ-ა-ცუმ-ა „აცხია“, ხ-ო-ცუმ-ა „უცხია“  
ყულ-ი „ბღავის“, ხ-ო-ყული „უბღავის“  
3. ხ-ა-ლეტ „უყვარს“, ხ-აყულენ-ი „ეშინია“...

ორგანული და არაორგანული კუთვნილების გამოხატვის განაწილება **ა-** და **ი-ო-** პრეფიქსების საშუალებით აქ დაცული არ არის, შდრ.:

ფთვარ ჯავანდა ყვარყვლაი, თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი, თერალ ჯისგურდა გიშრიმე, თვალეი გეჯდა გიშრისა, შდგქარ ჯაღდა მარგალიტიმე... კბილები გქონდა მარგალიტისა... (სვ. პ.)

- მეგრულ-ჭანური:** 1. (მეგრ.) ჯან-უ „წევს“, გი-ო-ჯან-უ „აწევს“, „აქვს“, უ-ჯან-უ „უწევს“, „ჰყავს“  
დგ-უნ „დგას“, გი-ო-დგ-უ „ადგას“, „აქვს“, უ-დგ-უ „უდგას“, „აქვს“  
2. ფუნ-ს „დულს“, [ზისხირე] უ-ფუნ-ს „[სისხლი] უდულს“  
რწკინგნც „ბრწყინავს“, [თოლევ] ურწკინგნც „[თვალეი] უბრწყინავს“  
3. ჯოგ-უ/გ „სძულს“, ო-სქვან-ს „შვენის“, უ-ცორ-ს „უყვარს“...

ქცევის ფორმები ჭანურის საშუალო გვარის ზმნებისთვისაც არ არის უცხო: გდობუნ ჯას მცხული „აბია ხეს მსხალი“ (ასათიანი, 1976), ოხორის მუ გეგითუნ — კერემიდი გემითუნ „სახლს რა გიხურავს — კრამიტი მიხურავს...

თ ე დ ო რ ე უ თ უ რ გ ა ი ძ ე,  
მ ა რ ი ა მ მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე (თბილისი)

**ნულოვანი ალომორფები ქართულ ზმნაში**

1. პირისა და რიცხვის კატეგორიები ქართული ენის ზმნაში ხშირად ნულოვანი ვარიანტით არიან წარმოდგენილი. ნულოვანი ვარიანტი ტიპური მორფოლოგიური ელემენტია. მორფოლოგიურ ელემენტთა ამოვარდნა ფორმიდან ფონემატური დაწოლის შედეგია, ზმნური ფორმა კი, მიუხედავად დანაკარგისა, ინარჩუნებს იმ კატეგორიის გაგებას, რომელსაც გრამატიკული ფორმიდან ამოვარდნილი ელემენტი იძლეოდა.

2. ნულოვანი ალომორფები მხოლოდ პირმომართ აქტანტებს აქვთ [S<sub>1</sub>O<sup>d</sup>, O<sup>ind</sup>: მო- $\emptyset$ -ვალ,  $\emptyset$ -გხატავ,  $\emptyset$ -მხატავ; დამავიწყეს (მე ის); დამავიწყეს (მე მას)], ამიტომ კონკრეტული ზმნის ფორმის პირიანობაზე მსჯელობისას მათი გათვალისწინება აუცილებელია. მათი არსებობა განაპირობებს პარადიგმის წევრთა დამოუკიდებლობას ფორმალური დამთხვევის შემთხვევაში.

3. ამა თუ იმ კატეგორიის ელემენტისათვის მნიშვნელობის შენარჩუნება, როცა ეს ელემენტი ფიზიკურად არ არის მოცემული, ე. ი. წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით, განსხვავებული გზებით ხდება: ა) პარადიგმის სხვა წევრებთან შეპირისპირებით, ბ) კორელატ ნიშანთა აუცილებელი მარკირებით და გ) სინტაქსური მიმართებებით.

შ უ შ ა ნ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე (ბათუმი)

**ნასახელარი ზმნები იმერხელში**

იმერხევის ქართულს ოთხას ორმოცდაათი წელი აშორებს მშობლიური დედაენის კალთას. ამ ხნის მანძილზე უცხო (ოსმალურ-თურქულ) ენობრივ გარემოში მოქცეულმა შეძლო თავისთავადობის შენარჩუნება და დღესაც სიცოცხლისუნარიანად გამოიყურება. ამას გვიდასტურებს იმერხევის ქართულის ზმნაზე, როგორც „ენის ხერხე-

მალზე“ (ილია), დაკვირვება. ოთხას ორმოცდაათწლიანმა უცხოენობრივმა მარწუხებმა ხერხემალში ვერ გატეხა აქაური ქართული. ქართულ ზმნას ვერ შემოაძარცვა დედაენის სამოსი. მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, ზმნამ ყველაზე უკეთ შეინარჩუნა თავისთავადობა. თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებულ სურათს იმერხელში მხოლოდ დიალექტიზმებისა და არქაიზმების არსებობა ქმნის. ზმნური ფორმების წარმოება ძირითადად მშობლიურ ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესებისა და კანონების შესაბამისად ხორციელდება.

საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის **ნასახელარი ზმნები**. მათი ერთი ნაწილი ნაწარმოებია ქართული სიტყვა-ძირების გამოყენებით. მათგან აღსანიშნავია: გეითხლამურა (გა-ი-თხლამურა) — საწადელს ადვილად მიაღწია, თავისი გაიტანა, სურვილი შეისრულა; გეითხუმეტა (გა-ი-თხუმეტა) — გაივსო, გაიბადრა; მე-ისურულა (მო-ი-სურვილ-ა) — გული იჭერა, სურვილი დაიკმაყოფილა...

საყურადღებოა თურქული და თურქულის გზით შემოსული არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვა-ძირების გამოყენებით წარმოქმნილი ნასახელარი ზმნები, რომლებიც იმერხელში უკვე დამკვიდრებული ჩანს. იმერხელ მეტყველებას უცხო ენის მასალა ქართული ზმნის ენობრივ ჩარჩოში ჩაუსვამს და ახალი ზმნური ფუძეები უწარმოებია. ამ უცხო მასალისაგან ნაწარმოებ ნასახელარ ზმნებს, საუბედუროდ, ქართული ძირძველი ზმნები გამოუდევნია იმერხეველი ქართველების აქტიური ლექსიკიდან.

ამ სახის ნასახელარი ზმნები უმეტესად **მოქმედებითი და საშუალი გვარისაა**: გვხვდება **სუფიქსური წარმოების ვნებითებიც**. პრეფიქსური წარმოებისა კი იშვიათად შეგვხვდება **ენიანი ვნებითის** სახით. **ინიანი ვნებითის ფორმები** საერთოდ არ შეგვხვდრია.

მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებში თემის ნიშნებად უმეტესად წარმოდგენილია **-ებ** და **-ავ** მაწარმოებლები: **გა-ა-ყოლა-გ-ებ-ს** (თურქ. -kolay-ადვილად) — გაადვილებს; **გა-ა-ჰაზირ-ებ-ს** (არაბ. hazir-მზა, მომზადებული) — მოამზადებს; **ჩა-ფით-ავ-ს** (თურქ. -fit-წამქეზებლობა, მზაკვრობა) — დააბეზლებს, წააქეზებს...

**ვნებითი გვარის** ზმნებთან თემატურ ნიშნად გვხვდება მხოლოდ **-ებ**: **და-ზაიფ-დ-ებ-ა** (არაბ. zayif-სუსტი, გამხდარი) — დასუსტდება, დაუძლიერდება; **გა-შუფელ-დ-ებ-ა** (თურქ. -şufeli-საეჭვო) —

გაეჭვიანდება; **და-ე-დუშმან-ებ-ა** (სპარს. -duşman-მტერი) — დაემტერება, გადაემტერება...

საშუალო გვარის ნასახელარი ზმნები იყენებენ **-ებ** და **-ობ** თემატურ ნიშნებს: **წა-ი-ყაფალთ-ებ-ს** (თურქ. -kahvaltı-საუზმე) — წაისაუზმებს; **ჭუმბუშ-ობ-ს** (სპარს. cumbuş-გართობა, მხიარულობა) — ერთობა, მხიარულობს...

იმერხელში დღემდე ცოცხალია ძველი ქართული ზმნების დიდი ნაწილი. უცხო სიტყვა-ძირების შემცველი შედარებით მცირერიცხოვანი ნასახელარი ზმნები იმერხელის ენობრივ ქსოვილს ჩრდილს ვერ აყენებს, რადგან ამ შემთხვევაშიც აქაურთა ქართული მეტყველება ცდილობს გაამშობლიუროს ისინი, ქართულ ენობრივ სამოსელში წარმოადგინოს.

ქართული ძირძველი ზმნების მაინცდამაინც ეს ერთი ნაწილი (აადვილებს, ამზადებს, დააბეზლებს, დასუსტდება, გაეჭვიანდება, დაემტერება, წაისაუზმებს, ერთობა,...) კი თუ რატომ გამოიღვენა იმერხეველთა აქტიური ლექსიკიდან, თუ რა კანონზომიერებას ექვემდებარება აღნიშნული სახის ცვლილებები ენაში, ჯერჯერობით მთლად ცხადი არ არის. ეს საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს.

## ე ლ ზ ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე (ბათუმი)

### ქონა-ყოლის გამომხატველი მედიოპასიური ზმნები საშუალო ქართულსა და დიალექტებში

მედიოპასიური „აქვს“ ზმნის ფუძე საშუალოშიც, ისევე როგორც ძველ ქართულში, რყევას განიცდის. „აქვს“ ზმნის უწყვეტელი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმითაც გვხვდება და ახალი წარმოებაც მკვიდრდება. დასტურდება ვარიანტები: „აქვ“, „აქვენ“ (ძვ. „აქუნ“), „ქონ“. შესაბამისად გვხვდება: „აქვნდა“, „მაქვნდა“, „გაქვნდა“ ფორმები, თუმცა პარალელურად დასტურდება ახლებურად ნაწარმოები ფორმებიც სავრცობიან მწკრივებში: „მქონდა“, „გვქონდა“. ა-პრეფიქსი თანდათანობით აღარ ჩანს ზმნის ფუძეში, ე. ი. მოხდა უნიფორმაცია. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გა-

რკვეულია, რა უნდა იწვევდეს ფუძეთა სხვაობას, რომელი ვარიანტია ამოსავალი და როგორია ამ ვარიანტთა ისტორიული ურთიერთობა.

ამავე რიგისაა „ჰყავს“ ზმნაც. „ჰყავს“ ზმნას „ჰყავს“ ზმნის მსგავსად საშუალო ქართულში შენახული აქვს ახალ ქართულში ზოგ მწკრივში დაკარგული თემის ნიშანი — „ან“, რომელიც გამოჩნდება არა მარტო აწმყოს მესამე პირის მრავლობითში, არამედ აგრეთვე სავრცობიან მწკრივებშიც: „ჰყავანან“, „ჰყავანდა“, „ჰყავანდეს“.

საშუალო ქართულში „ჰყავს“ ზმნის შინაარსი აქვს „ზის“ ზმნის საობიექტო ქცევის ფორმას. „მიზის“, „გიზის“ ზმნათა შინაარსი უტოლდება „ჰყავს“ ზმნის შინაარსს. ამგვარი სემანტიკით გვხვდება იგი „ვეფხისტყაოსანში“:

„აქვს“, „ჰყავს“ ზმნა საინტერესო ფორმებით წარმოჩნდება დასავლურ დიალექტებშიც. გვხვდება: ქონდენ, გაქვან, აქვან, ყავან ფორმები.

ამგვარად, საშუალო ქართულში, როგორც გარდამავალი საფეხურის ენაში, ერთდროულად გვხვდება „ჰყავს“, „აქვს“ ზმნის ძველი და ახალი ფორმები. ახალი ფორმების სრულ დამკვიდრებამდე საშუალო ქართული ძველი და ახალი ფორმების თანაარსებობის საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს. საშუალო ქართულის მონაცემთა გათვალისწინება კი უთუოდ საინტერესოა საშუალო გვარის ფორმირების პროცესის შესასწავლად.

## მ ი ხ ე ი ლ ქ ა მ ა დ ა ძ ე (ბათუმი)

### ზმნური სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმები აჭარაში

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ტოპონიმებისა, რომლებიც ზმნური სახელებისაგან მომდინარეობენ. მაგ.: **ნაფლატი, ნაკაფი, ნაჩეხი; ნათიბი, ნაჭარი, ნატეხი, საწური, სამღერი, სათიბი...**

მოცემული მაგალითები გაფორმებულია **ნა-** და **სა-** პრეფიქსებით. **ნა-** აწარმოებს ნამყო ღროის მიმღობას საშუალო და ვნებითი

გვარის შინაარსით, **სა-** მყოფადი დროის მიმღობას საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან.

აღნიშნული ტიპის სახელები სხვადასხვა გაფორმებითაც გვხვდება: **ნაფლატები, ნაკაფები, ნაკაფაჲ, სატენია, ატკენილი, ამობერილი, გათხრილი, გამოკაფული, დამტრევილი, დაღენკილი, დაბაწკული, დაბელტული...**

ზმნური სახელები ჩანს თხზულ ტოპონიმებშიც: **ჭანჭახინაფ-ლატი, სულიასათიბი, ღორინათხარი, სატრიალასერი...**

აღნიშნული ონიმები ფაქტიურად გაარსებითებული გეოგრაფიული საკუთარი სახელებია.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება, აგრეთვე, ზმნური წარმომავლობის სხვა ტოპონიმებიც.

## მ ი ხ ე ი ლ ქ უ რ დ ი ა ნ ი (თბილისი)

### **საერთო-ქართველური ზმნა და ქართველურ ენათა ზმნის სისტემების ისტორიის არსებითი საკითხების ინდუქციური და დედუქციური ინტერპრეტაციები ისტორიულ-შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით**

ნებისმიერი მეცნიერება კომპეტენტურია მხოლოდ საკუთარი მეთოდის ფარგლებში, ამ ფარგლებს იქით არავერიფიცირებად ვარაუდთა სფეროა. ლინგვისტიკისათვის ასეთი მეთოდი კომპარატივისტიკაა. ამ მკაცრმა და შემოწმებადმა მეთოდმა აქცია ლინგვისტიკა მოცლილ ფილოსოფოსთა გონებამახვილი მსჯელობებიდან მეცნიერებად. ისეთივე ზუსტ მეცნიერებად, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებია (ამ თეზისს, რომელიც სათავეს გერმანელ ახალგრამატიკოსთაგან იღებს წონასწორობიდან გამოჰყავდა ჰუგო შუხარდტი, რომელმაც მის უარყოფას რამდენიმე სტატია და ერთი სავანგებო ბროშურაც მიუძღვნა („ფონეტიკური კანონების შესახებ“, 1885), მაგრამ „ამაოდ და შერა“).

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მეშვეობით რეკონსტრუირდება ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა, გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკური ფონდი უშუალოდ ფუძე-ენის დიფერენციაციის

მომენტში ანუ ერთ სინქრონიულ ჭრილში. შესაბამისად ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე რეკონსტრუირებული ნებისმიერი იერარქიული დონის ერთეული თანადროულია, სინქრონიამი თანაარსებული, თუმცა ზოგიერთი მათგანი შეიძლება არქაიზმს წარმოადგენდეს, ზოგიერთი კი ინოვაციას (ასეთ შემთხვევებში, კომპარატივისტიკის მიერ დადგენილი აბსოლუტური ქრონოლოგიის ჩარჩოში მათი რელატიური ქრონოლოგიის დასადგენად, როგორც წესი, შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს მიმართავენ. ენა ნიშნთა სისტემა და შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდიც სისტემის მოთხოვნებს ეფუძნება, შესაბამისად ის ვერიფიცირებადია როგორც ერთი კონკრეტული ენის სისტემით, ასევე კომპარატივისტული მონაცემებითაც).

ზოგადად იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში და კერძოდ ქართველურ ენათმეცნიერებაში პოვნიერია არაერთი აპრიორული და დედუქციური ხასიათის თეორიული თვალსაზრისი, გამოთქმული უაღრესად ავტორიტეტული მეცნიერების მიერ, რომლებიც უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული მათი მრავალრიცხოვანი მოსწავლეებისა და მიმდევრების მიერ და ლამის სახელმძღვანელო დებულებებად თუ სულაც დირექტივებად არის ქცეული.

ამჯერად ჩემი მსჯელობის საგანი იმ დედუქციურ თვალსაზრისთა ერთი ნაწილი იქნება, რომლებიც ქართულ-ქართველური ზმნის ისტორიას ეხება. მათ ვერიფიცირებისთვის მივმართავ ისტორიულ-შედარებით მეთოდს.

1. გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს: **პრეფიქსაციაა პირველადია, სუფიქსაცია კი — მეორეული და რომ სუფიქსაცია ბრუნებაში მაშინ, როდესაც უღვლილებაში ძირითადად პრეფიქსაციაა წარმოდგენილი, იმით აიხსნება, რომ ისტორიულად იბერიულ-კავკასიურ ენებში ზმნა სახელზე აღრე გაფორმდა.**

რას ნიშნავს პირველადი და მეორეული? ლინგვისტიკაში მსგავსი საკითხების აბსოლუტური ქრონოლოგიის დადგენის ერთადერთი საშუალება ისტორიულ-შედარებითი მეთოდია, ამ მეთოდით რეკონსტრუირებულ არქეტიპებში კი როგორც საერთო-ქართველური ფუძე-ენის, ისე საერთო-ნახურ-დაღესტნური თუ საერთო-იბერიულ-კავკასიური ფუძე-ენების დონეზე წარმოდგენილია როგორც პრეფიქსაცია, ასევე სუფიქსაცია, ანუ ყველა იმ ქრონოლოგიურ დონეზე, სადამდე ჩადწვის უფლებასაც გვაძლევს ლინგვისტური კომპარატივისტიკის

მეთოდი პრეფიქსაცია და სუფიქსაცია თანაბრად რეკონსტრუირებადია.

გარდა ამისა, გამონაკლისის გარეშე, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ყველა ჯგუფის ფუძე-ენის დონეზე თანაბრად აღდგება როგორც ზმნის უღვლილები პარადიგმა, ასევე სახელის ბრუნების პარადიგმაც.

მაშ, საიდან ჩანს, რომ „პრეფიქსაცია პირველია, სუფიქსაცია კი — მეორეული“, ან რომ „ზმნა სახელზე ადრე გაფორმდა“.

2. გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს: **ქართველური ენების ზმნის უღვლილების პარადიგმაში ჯერ მეორე სერიის ფორმები ჩამოყალიბდა და მხოლოდ შემდეგ, მათი გათვალისწინებით, პირველი და მესამე სერიისა.**

საერთო-ქართველური ფუძე-ენის ქრონოლოგიურ დონეზე ცალსახად აღდგება, როგორც მეორე ასევე პირველი და მესამე სერიების ფორმები, შესაბამისად არ არსებობს არანაირი ინდუქციური (**ad hoc** კომპარატივისტული) საფუძველი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ ამ სამი სერიიდან, რომელიმეს ფორმირება დროში უსწრებდა დანარჩენებს (*ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამი სერიიდან რომელიმეს სხვა სერიებთან შედარებით უფრო ადრე ფორმირების სასარგებლოდ დასკვნის გაკეთების საფუძველს არც შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდი იძლევა*).

3. გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს: **ქართველურ ენებში უთემისნიშნო ზმნები უფრო ძველია (პირველია) თემისნიშნიან ზმნებთან შედარებით.**

ასეთი მსჯელობა სიმართლეს ჰგავს, მართლაც, ლოგიკურად ხომ ასეც უნდა მომხდარიყო; ლოგიკურად შეიძლება ეს მსჯელობა სწორია, მაგრამ ლინგვისტურად ის ჭეშმარიტი არ არის, რადგან საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე თემისნიშნიანი ზმნები ისეთივე წარმატებით რეკონსტრუირდება, როგორც უთემისნიშნონი, მაგ.:

<b>ს.-ქართ.</b>	<b>:</b>	<b>ქართ.</b>	<b>:</b>	<b>ზან.</b>
*წერ-ს	:	წერს	:	*ჭარს
*წერ-ამ-ს	:	წერ-ამ-ს	:	ჭარ-უმ-ს

აი ეს დასკვნა კი ნამდვილად შემოწმებულია ენობრივი მასალის საფუძველზე... ის ეყრდნობა ენობრივ ფაქტს, მართალია რეკონსტრუირებულს, მაგრამ ფაქტს (რადგან ის რეკონსტრუირებულია შემოწმებადი მეთოდით).

კომპარატივისტიკაში ტერმინი „უძველესი“ ნიშნავს ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონისას — ენობრივი ოჯახის, ჯგუფის, ქვეჯგუფის და ა.შ. (თითოეული მათგანისთვის მისი შესაბამისი ფუძე-ენისა). მაგ. ქართულისთვის ეს საერთო-ქართველური ფუძე ენაა, საერთო-ქართველურისთვის საერთო-ბასკურ-ქართველური, საერთო-ბასკურ-ქართველურისთვის საერთო-იბერიულ-კავკასიური. ზანურსა და სვანურს საერთო-ქართველურამდე კიდევ ერთი შუალედური ფუძე-ენა მოეპოვებათ: საერთო-სვანურ-ზანური...

კომპარატივისტიკაში ტერმინი „პირველი“ ნიშნავს შუალედური ფუძე-ენის (ენობრივი ჯგუფის, ქვეჯგუფის) წინმსწრებ ფუძე-ენაში პოვნის (მაგ. ენობრივი ჯგუფისთვის ენობრივი ოჯახის ფუძე-ენაში პოვნის, ქვეჯგუფისთვის კი ჯგუფის ფუძე-ენაში). მაგ. ქართველურ ენებში დადგენილი ძირ-ფუძითქმნადობის მოდელი, რომელიც ალტერნაციას ეფუძნება (ა.არაბული) პირველია, რადგან ის რეკონსტრუირდება საერთო-ქართველურის წინმსწრებ ფუძე-ენაში — საერთო-იბერიულ-კავკასიურში (ა. არაბული, მ. ქურდიანი)...

## ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი (თბილისი)

### რამდენიმე მიმართებითი ნაცვალსახელისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა სვანურში

ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა მაქვემდებარებელი კავშირებისაგან განსხვავებით, გარკვეულ ინტერესს აღძრავს. მიმართებითი ნაცვალსახელი, როგორც წვერ-კავშირი, მთავარი წინადადების მისამართ სიტყვასთანაა დაკავშირებული და ამავე დროს გვევლინება დამოკიდებული წინადადების სრულუფლებიან წვერად და ხშირ შემთხვევაში სინტაქსურ წყვილს ქმნის ზმნა-შემასმენლთან.

საინტერესოა და მრავალფეროვან სურათს გვიჩვენებს ჰიპოტაქსის საკავშირებელი სიტყვებისა და ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა სვანურშიც. მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ ხელი „რომელი“, იმკაზ || იმკაზ || იმკაზი || მაკაიზ, მაგჟარ || მაგჟაჟ „როგორი“, მაჟუმ ||

**მაღვუმ** „რამდენი, რამხელა“ მიმართებით ნაცვალსახელთა და ზმნა-შემასმენლის სინტაქსურ ურთიერთობაზე.

მიმართებითი ნაცვალსახელი დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ეწყობა ქვემდებარედ ან ერთ-ერთი სახის დამატებად და პირველ სამ ბრუნვაში დგას, სინტაქსური ფუნქციის შესაბამისად ზმნა-შემასმენლის მიერ იმართვის ბრუნვაში.

მიმართებითი ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ან პირდაპირი დამატებაა, მაგ: ეჯი აღრი, **ხედღ** ბეფუმს ლოშკინპილხო ასაცურიე (ჩოლ.საყდ.) „ის წავა, რომელიც ბავშვს ბოლოს 'კენ' დაიტოვებს“...

თუ დამოკიდებული წინადადების შემასმენელი მეორე სერიის გარდამავალი ზმნაა და მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარის როლს ასრულებს, მაშინ იგი მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება, მაგ: **ხედუმჯდ ლოქ სოჩა ჰარკალ ლწქვას, ეჯას ხაცეს აღ დიარ** (ბზ. პროზ.159) „რომელმაც კარგი არაკები თქვას, იმას ჰქონდეს ეს პუროი“...

მიცემით ბრუნვაში მიმართებითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია მაშინ, თუ იგი დამოკიდებული წინადადების ირიბი ან პირდაპირი დამატებაა, მაგრამ თვით შემასმენელი-ზმნა I სერიის ფორმითაა წარმოდგენილი(აბესაძე, 111). მაგ: **მაზუმჟმჯას ესერ ხაჰუდი, ქაჰუ ესერ ლახჟემ** „რამდენსაც მომცემ, მომეციო“.

ასეთ შემთხვევებში როგორც ვხედავთ სრულიად ქართულისებრი მდგომარეობაა, თუმცა მიმართებითი ნაცვალსახელები სვანურში, აღნიშნულ ბრუნვებში სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებს გვიჩვენებს, თითოეული მათგანი მოხსენებაში სრულად იქნება განხილული.

რამდენიმე აღნიშნულ ნაცვალსახელს (**ხედი „რომელი“, იმკაიბ || მაკაიბ „როგორი“, მწუმ || მაღვუმ „რამხელა“**) ამავე დროს ეწარმოება მრ. რიცხვის ფორმაც და ძალზედ საინტერესო სურათს გვიჩვენებს.

თუ წინადადებაში მიმართებითი ნაცვალსახელი ქვემდებარეა შემასმენელსაც მრ. რიცხვი ითანხმებს, მაგ: **აგითე ლწუჟი სგენსიპეს აღიარდ, ა, ხედდარღი ედსიმნეს ნაგერგალ** (ჩოლ.) „სახლში წასვლისას შემოიარეს იმათ(მა), აი, რომლებმაც გაიგონეს (ყურად იღეს) ნათქვამი“... ამ შემთხვევაში ქართულის მსგავსად, მიმართებითი ნაცვალსახელი, ერთი მხრით მათანხმებელია, მეორე მხრით — მართული ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში.

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მრ. რიცხვით წარმოდგენილ მიმართებით ნაცვალსახელს, რომელიც

წინადადებაში პირდაპირი დამატებაა, შემასმენელი შეიძლება შეუთანხმდეს რიცხვში, შეიძლება არაა, მაგ: ეჩქა ეჯკალი მეგმარალს გარ იმჯახ, **ხედდარღი** ლიც **ხენწროლხ || ხედდარღი** ლიც **ხენწროლ** (ჩოლ.) „მაშინ მართო ისეთ მორებს ეზიდებოდნენ, რომლებსაც წყალი ერეოდათ || ერეოდა“...

მოხსენებაში განხილული იქნება ზმნა-შემასმენლის ურთიერთობა ისეთ მიმართებით ნაცვალსახელებთან, რომლებიც ფორმობრივად ემთხვევა მისამართ სიტყვას...

## ლ ე ი ლ ა შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი (თელავი)

### ზმნის პირის ნიშანთა საკითხისათვის ქიზიყურში საგაზეთო მასალის მიხედვით

გაზეთ „ქრონიკის“ კორესპონდენციებში ქიზიყელ რესპოდენტთა მეტყველება ყურადღებას იქცევს ზმნის პირის ნიშანთა განაწილების ასეთი სურათით:

S<sub>3</sub>

- ა) **-0**: გვაქ, არი, დავიკარგამ, დაუნახამ, უთქვამ;
- ბ) **-ს, -ეს**: იყოს, უდგებოდეს, იარსებოს, გამაიყენოს, გაჩეხეს, შაარჩიეს, მაიტანეს, ჩადგეს;
- გ) **-ეს>ეი**: დაიტაცეი, გაალამაზეი; ჭამოი, ამაიყვანოი, გვასწავლოი, თქვაი.

პO<sub>3</sub>

- ა) **0-**: ხედამენ, კაჭამენ, თვლიან, ტანჯამენ, მოძღვრავს, მალამდნენ, მოჭრის;
- ბ) **0-**: ამაიძირკვამს, დაინერგამს (შდრ. ნერგამს, ჰკეტამდნენ).

ირO<sub>3</sub>

- ა) **0-**: რჩებათ, დაპირდებიან;
- ბ) **0-<ჰ**: დაიყვება, წაიგლიჯეი;
- გ) **ჰ**: ჰგონია, ჰქონდა (მიჰქონდათ), ჰქონიათ;
- დ) **ს-**: სდომებიათ.



ა) მისცა, წაიგლიჯე, დაპირდებიან, ახსნის.

წერილებში იკითხება მცდარი ზმნური ფორმები: მაეწონათ, ჰკილია (ის—ფანრები), დაწიწილაგებული (ქვეყანა) და მისთ.

დიალექტის უცოდინარი მკითხველისათვის უჩვეულოა **მიიყვებოდა, მიიყვებოდეი, ამაიგლიჯოი** რიგის ფორმები.

ჟურნალისტი კოლორიტულობისთვის მიმართავს დიალექტიზმებს, მაგრამ კუთხურ ფორმათა ტექსტში ჩაწერისას თუ დოზირებისას წინააღმდეგობებს აწყდება, ამიტომ საგაზეთო ენისათვის სათანადო რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს.

### ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა (თბილისი)

#### რიცხვში ფუძემონაცვლე ზმნები მეგრულში

ქართველურ ზმნას რიცხვის გრამატიკული კატეგორია გააჩნია — ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური თუ ობიექტური პირების რიცხვი ზმნაში სათანადო ნიშნებით გამოიხატება. მაგრამ ქართულში მოიპოვება ერთი წყება ზმნებისა, რომლებიც თავისებურებას ავლენენ რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით. კერძოდ, თუ ზმნა ვერ აწარმოებს მრავლობითი რიცხვის ფორმას, ის ინაცვლებს სხვა ფუძეს. ასეთი ზმნები რიცხვში მონაცვლენი არიან (ა. შანიძე): ჯდომა — სხდომა; ვარდნა — ცვივნა; გდება — ყრა; სმა — სხმა; ბმა — სხმა; კვლა — ხოცვა; ყვანა — სხმა; გდება — რეკა...

საინტერესო ვითარებაა ამ თვალსაზრისით მეგრულში. მოძიებული მასალის მიხედვით გამოვლინდა როგორც რიცხვში მონაცვლე **ცოთ-** (ოყოთანს) „აგდებს“ — **რღვ-** (ორღვანს) „ყრის“; **ძ-** (ძვ) „დებს“ — **რღვ<sup>1</sup>-** (რღვ<sup>1</sup>ლ<sup>1</sup>უ) „ყრის“; **ტახ-** (ტახგნს) „ტეხს“ — **ჩხუმორ-** (ჩხუმორგნს) „ამსხვრევს“, **ტუმორ-** (ტუმორგნს) „ამტვრევს“, **ფურ<sup>1</sup>-ჩხოლ-** (ფურჩხოლგნს) || **ბურჩხოლ-** (ბურჩხოლგნს) || **ფუნჩხოლ-** (ფუნჩხოლგნს) „ფშენის, ამსხვრევს, ანამცეცებს“; **ღურ-** (ღურუ) „კვდება“ — **ჰყორდ-** (ჰყორდუ) „წყდება, იხოცება“; **ლ-** (ლვ) „ვარდება“ — **ც-** (ცენს) „ცვივა“; **ცვილ-** (ცვილგნს) „კლავს“ —

**სირ-** (სირგნს) „ხოცავს, ჟღერს“; **ღვ-** (რღვანს) „დებს“ — **წკარ-** (ოწკარანს) „აწყობს, ასევე მრავლობითობის გამომხატველი ზმნები, რომლებსაც მხოლოდობის შინაარსის შესაბამისი ზმნა არ ეძებნება (**ღვარღვ-** || **ღვერღვ-** (იღვარღუ || იღვერღუ) „ბევრი ერთმანეთში ირევა, მოძრაობს“; **ზლოდ-** (ოზლოდუანს) „ხოცავს“; **რონჩხ-** (რგო<sup>1</sup>ონჩხგ) „უხვად არის, ყრია, დახუნძლულა“; **ჯორგ-** (გეჯორგგ) „ჯგუფი, გუნდი, ზროვა ვისიმე, რისამე დგას“...).

საანალიზო ერთეულები თავისებურებას ავლენენ მწკრივთა წარმოებისა და სახელთან შეთანხმების თვალსაზრისითაც. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მოხსენებაში იქნება მსჯელობა.

### ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა (თბილისი)

#### პირის ნიშნთა ფონეტიკური ცვლილების ტიპოლოგიისათვის ქართველურ და აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში

პირის ნიშნები, როგორც ცნობილია, ქართველურ ენათა ზმნის პირველსა და მეორე პირში პრეფიქსებია, მესამე პირში — სუფიქსები; აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში პირის ნიშნებად სამსავე პირში პრეფიქსები გვაქვს. პირის ნიშნები გარკვეულ პოზიციაში ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდიან, რაც ხდება მათი მომდევნო თანხმოვნის გავლენით.

#### 1. ს → ზ

პირველი პირის ნიშანი **ს-** აფხაზურ-ჩერქეზულ ენებში **ზ-**ში გადადის, თუ მომდევნო თანხმოვანი მჟღერია. ყაბარდოულში **S<sub>1</sub> ს-ზ-**ს გვაძლევს დინამიკურობის **ჟჷ-(ო-)** ნიშნის წინაც.

ქართულ ზეპირ მეტყველებაში გვაქვს **O<sub>3</sub> ს → ზ** პროცესი მჟღერი თანხმოვნის წინა პოზიციაში (მაგ., მიზღვეს).

მეგრულ-ლაზური ენის ლაზურ დიალექტშიც დადასტურებულია **ს → ზ** პროცესი, კერძოდ, მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი **-ს -ზ-**ში გადადის სხვათა სიტყვის **-მა** ნაწილაკის წინ (მაგ., ქომოხთაზია „მოვიდესო“).

#### 2. ვ(უ) → ბ, ფ, პ

პირველი პირის ნიშანი **ვ** მეგრულ-ლაზურში მომდევნო მყდერი, ფშვინვიერი თუ მკვეთრი თანხმოვნების წინ შესაბამის ბაგისმიერ (**ბ, ფ, პ**) ხშულებში გადადის.

მსგავს პროცესთან გვაქვს საქმე ჩერქეზულ ენებში, სადაც მეორე პირის ნიშანი **ჟ** მომდევნო ხმოვნის გავლენით იმავე **ბ, ფ, პ** ვარიანტებს გადაქცევს.

### 3. თ → დ

ეს პროცესი დასტურდება ადიღურ ენაში, კერძოდ, მრავლობითი რიცხვის პირველი პირის ნიშანი **თ-დ**-ში გადადის.

ანალოგიური პროცესი გვაქვს ლაზურში, სადაც მრავლობითი რიცხვის მესამე პირის სუფიქსი **თ-დ**-ს გადაქცევს **-და** ნაწილაკის წინ (მაგ., მებულულდა „მივდივართ“).

ზოგადი, რაც ზემოთ განხილულ პროცესებს აერთიანებს, ესაა ფონეტიკური პროცესის რეგრესული ხასიათი — მომდევნო თანხმოვნის გავლენით იცვლება წინამავალი პირის ნიშანი. ასე რომ, ქართველური ენების ერთ-ერთი ზოგადი ტიპოლოგიური ნიშანი — რეგრესული ასიმილაცია, რაზედაც პირველად ი. ყიფშიძემ გაამახვილა ყურადღება, აფხაზურ-ჩერქეზული ენებისთვისაც არის დამახასიათებელი (ეს პროცესი იბერიულ-კავკასიურ ენათა ტიპოლოგიის შემადგენელ ელემენტად შეიძლება დავსახოთ).

## რ ე ვ ა ზ შ ე რ ო ზ ი ა (თბილისი)

### ზოგი ახალი წარმოებისათვის მეგრულ მეტყველებაში

1. ენობრივი სისტემის სტრუქტურულ ელემენტებს სისტემის ვარიანტი (ენა, დიალექტი, კილო...) თავისი სამეტყველო ფსიქოლოგიის მიხედვით მოიხმარს, — ელემენტთა ცვლილებები ან მათი მომიჯნავე ფუნქციით (ნულოვანი სტატუსითაც) გამოყენება აპირობებს გაგებინების ხარისხის მხრივ სისტემის ვარიანტებს შორის დაპირისპირებას.
2. მეგრულ მეტყველებაში სიახლეები დასტურდება. ისინი მიგვითითებენ როგორც საერთო, ქართველური სისტემის, ისე დიალექტის განვითარების გზაზე.

ა. **ვერწეხე** (არ ჩანს; ვერ იხედება) ახალი ზმნური ფორმაა, დადებითი შინაარსის **ირწეხე** იშვიათია, ორივე პოტენცილისის წარმოებისაა, თუმცა რელატიური ფორმები არ ჩანს. „ხედვის“ შინაარსის გადმოსაცემად, ჩვეულებრივ, გამოიყენება ასევე პოტენცილისის წარმოების **ია-ძირე, ვეძირე, ვა-ძირე**. „არ ჩანს“, „ვერ ხედავს“ მნიშვნელობების გარდა ესენი „პოვნასაც“ „ითავსებენ“, **ვერწეხე** კი მხოლოდ „ხედვის“ გამომხატველია.

ბ. **მაგონი** (მგონია) ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს და იშვიათად ისმის მეგრულ მეტყველებაში. პირველი პირის გამარტივებულ **მგონი** ფორმას მექანიკურად ერწყმის **მა** (მე) ნაცვალსახელი. ამასთან, ფორმაში შენარჩუნებულია ობიექტური პირის ნიშანიც.

## მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე , მ ა რ ი ა მ ც ი ს კ ა რ ი შ ე ლ ი (თბილისი)

### პრევერბისა და ასპექტის ურთიერთმიმართებისათვის ქართულსა და ბაცბურში

პრევერბისა და ასპექტის ურთიერთმიმართება ზმნის კატეგორიათა წარმოებისას რიგი თავისებურებებით გამოირჩევა ქართულსა და ბაცბურში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის და, ზოგადად, ასპექტის ტიპოლოგიის გარკვეული მონაკვეთების სერიოზულად დამუშავების გვერდით არცთუ მცირეა ნაკლებდამუშავებული უზნებიც.

ასპექტის კატეგორიის ფორმირების გზაზე მისი გამომხატვის სახეების მიხედვით, საინტერესო ნიუანსს წარმოაჩენს ქართულიდან ნასესხები ზმნები ბაცბურში, პრევერბული წარმოებისას, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ე. წ. ორმაგპრევერბიანი ფორმები (მაგ.: [ჰალრ] დახატოდარ „დახატვა“, [ჩუ] დაწერადარ „წერა“, [ჰალო] მიწონადალარ, [დაჰ.] დალუპადალარ, [ჰალრ] აშენებადარ და მისთ.).

ქართულის ვითარების შესაბამისად, ბაცბურში პრევერბიანი



და უპრევერბო ფუძეებით ასპექტი გარჩეულია ძირითადად ქართულიდან ნასესხებ ზმნებში. მოხსენებაში არის ცდა ამგვარი მასალის ანალიზის საფუძველზე დაზუსტდეს პრევერბის ფუნქციური როლი ასპექტის წარმოებისას.

**მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა** (თბილისი)

**ვნებითი გვარის სუფიქსაციის პრობლემისათვის ქართველურ ენებში**

საერთოქართველური **-ი** სუფიქსიანი ვნებითი, ძვ. ქართული ი-წუ-**ი**-ს, ი-თქმ-**ი**-ს, ი-სმ-**ი**-ს ტიპისა, მეგრულ-ლაზურში **-ე** დაბოლოვებიან ალომორფს შეისატყვისებს, შდრ. შესაბამისად მეგრულ-ლაზურში: ი-ჭუ-**ე**-ნ, ი-თქუ-**ე**-ნ, ი-შუ-**ე**-ნ. პრეფიქსაციის ცვლას ვნებითებში სტრუქტურული ცვლილებები არ ახლავს, შდრ. ქართ. ე-წუ-**ი**-ს : მეგრ.-ჭან. ა-ჭუ-**ე**-ნ „id“.

ზემოთაღნიშნული ერთგვაროვნება ზმნათა მეტად შეზღუდულ რაოდენობას ახასიათებს. უმეტეს შემთხვევაში ქართულსა და ზანურს შორის სტრუქტურულ-სემანტიკური სხვაობა იჩენს თავს:

ზან.	ძვ. ქართ.	ახ. ქართ.
ი-ჭარ- <b>ე</b> -ნ	ი-წერ- <b>ებ-ი</b> -ს	ი-წერ- <b>ებ-ა</b>
ი-თას- <b>ე</b> -ნ	ი-თეს- <b>ებ-ი</b> -ს	ი-თეს- <b>ებ-ა</b>
ი-გუბ- <b>ე</b> -ნ	ი-გბ- <b>ობ-ი</b> -ს	ი-გბ- <b>ობ-ა</b> ...

კერძოდ, ზანურ მარტივ **-ე** დაბოლოებას ძვ. ქართულში თემის ნიშნით გართულებული **-ებ-ი** თანმიმდევრობა შეესაბამება, რასაც ახალ ქართულში სულაც **-ებ-ა** გამოხატავს. კითხვა ისმის: ჰქონდა თუ არა ზანურს ძვ. ქართ. **-ებ-ი** სუფიქსიანი ვნებითის სტრუქტურული ანალოგი? პასუხი დადებითი ჩანს; ჩვენი აზრით, აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ლაზურისათვის მითითებული ერთადერთი გო-**ი**-თურ-**აფ-უ**-თ „დაეთრევით“ მაგალითი ძვ. ქართ. ი-წერ-**ებ-ი**-თ ტიპის გამოძახილია — **-ებ : -აფ**. პროფ. გ. კარტოზიამ ლაზურში **-აფ-უ** (=ქართ. **-ებ-ი**) დაბოლოებიანი ვნებითების სხვა ნიმუშებიც მრავლად მოიძია, შდრ.: გა-მ-**ი**-თხუ-**აფ-უ**-ნ „გავთხოვდები“, გუ-ი-ქთ-**აფ-უ**-ნ „გა-

ბრუნდები“, **ი**-შირ-**აფ-უ**-ნ „იცივება“, ა-შქურინ-**აფ-უ**-ნ „შეეშინდება“, ა-ჭკომ-**აფ-უ**-ნ „ეჭმება“ და სხვ.

ცხადია, აქ დასახელებულ ლაზურ **-აფ-უ** დაბოლოება ძვ. ქართული **-ებ-ი** სუფიქსაციის ზუსტი სტრუქტურული შესატყვისია. მაგრამ აქ მხოლოდ სტრუქტურულ-ფუნქციურ იდენტურობაზე შეიძლება საუბარი, ფონეტიკურად ძვ. ქართ. ვნებითობის **-ი** არ შეესატყვისება ზანურ **-უ** სუფიქსს. წესის მიხედვით ძვ. ქართული **-ებ-ი** სუფიქსის შესაბამისად ლაზურში მოსალოდნელი იყო **-აფ-ე** დაბოლოება. როგორც ირკვევა, აქ ისეთივე მიმართება გვაქვს, როგორც ერთპირიან ვნებითებში გამოჩნდება:

ზან.	ძვ. ქართ.	ახ. ქართ.
ტიბ- <b>უ</b> -ნ	ტფ- <b>ებ-ი</b> -ს	თბ- <b>ებ-ა</b>
ლურ- <b>უ</b> -ნ	კუდ- <b>ებ-ი</b> -ს	კვდ- <b>ებ-ა</b>
სქიდ- <b>უ</b> -ნ	შთ- <b>ებ-ი</b> -ს	რჩ- <b>ებ-ა</b> ...

და ზანურ დიალექტებში თავჩენილი **-უ** სუფიქსი სხვა არაფერია, თუ არა ძვ. ქართულის ე. წ. საშუალო გვარის ზმნებისათვის დამახასიათებელი **-ოვ** სუფიქსის კანონზომიერი შესატყვისი: მალლ-**ოვ-**, ცრემლ-**ოვ**..., სადაც ქართ. **-ოვ** : ზან. **-უ** შეპირისპირებას ფონეტიკური დაბრკოლებები არ ახლავს.

**ნ ა ნ ა ც ე ც ხ ლ ა ძ ე ,  
ღ ი ა ნ ა ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი** (თბილისი)

**ზოგიერთი საერთო-ქართველური სუფიქსი აჭარულში**

ძველსა და საშუალო ქართულში -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა უღლებაში თავჩენილი ევ\ემ\ვ\მ ფორმანტების არსებობა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირადაა ახსნილი.

1. ა) -ევ და -ემ დამოუკიდებელი ფორმანტებია განსხვავებული დიალექტური წრის შემონატანნი და თანაც უფრო ძველი, ვიდრე -ავ და -ამ თემის ნიშნები.

ბ) ტრანსფორმაციული თვალსაზრისის მომხრეთა მიხედვით -ევ და -ემ სუფიქსები -ავ-ის და -ამ-ისგანაა მიღებული. ერთნი ამის მიზეზად ფონეტიკურ ფაქტორებს თვლიან, მეორენი — მორფოლოგიურს.

ამ უკანასკნელი თვალსაზრისის მომხრენი თვლიან, რომ -ევ და -ემ ფორმანტები დამოუკიდებელი თემის ნიშნები მაშინ იქნებოდნენ, ისინი რომ გამოვლენილიყო აწყმოში, აწყმოს ხოლმეობითსა და I თურმეობითში.

ქ. ძოწენიძის მიერ შემოიმერულში (მრ. რ. III პირში) გამოვლენილი ფქვევენ ტიპის ფორმები და მ. ცინცაძისა და მ. ფაღავას მიერ მაჭახლის ხეობაში დადასტურებული ვზიდევ, აკოჭევ, ძინევს და მისთ. ზმნები ა. ჩიქობავასეულ ვარაუდს ამტკიცებს.

-ევ და -ემ დამოუკიდებელი სუფიქსებია მიმღობითშიც. აღნათქუამი\| აღნათქუემი, ნარისუავი\|ნარისუევი\|ნარისუალი\|ნარისუელი პარალელური ფორმებია. დისიმილაცია გამორიცხულია ისეთი მიმღობებში, როგორცაა ნასყიდევი და ნაქმნევი.

მოკლედ, -ევ და -ემ გამოვლინდა აწყმოში, უწყვეტელში, I ბრძანებითსა და I კავშირებითში. I თურმეობითში მისი გამოვლენა არცაა მოსალოდნელი, რადგან III სერია გვიანაა ჩამოყალიბებული, ეს ფორმანტები კი უძველესი ფორმაციისანი არიან. მათი რეფლექსები დასტურდება სხვა ქართველურ ენებშიც. -ემ სუფიქსი გვაქვს სვანურში: ბალსხემოურში უწყვეტლის მწკრივში გვაქვს გადაბგერება ამ, ბალსქვემოურში კი — არა.

II. -ევ რომ უძველესია, ამაზე ისიც მეტყველებს რომ ზოგ ზმნაში ჰირს მისი გამოყოფა, ზოგს კი II სერიაში გადაჰყვება. წყვეტილის -ე ნიშანიც -ევ-ისგან მომდინარედ ითვლება. -ევ აორისტის მაწარმოებელია მეგრულშიც. სამხრულში, ქართულში, შემოიმერულში და კახურში დადასტურებული ვნახევი, დავთესევი და მისთ. ფორმები უძველესი ვითარების ამსახველია. ისინი უძველესი ქართულის დიალექტთა ერთ ჯგუფში გვხვდება.

-ევ (ისევე როგორც -ემ) საერთო-ქართველური, უძველესი ფორმაციის სუფიქსია. მისი თავდაპირველი ფუნქცია აორისტის წარმოება უნდა ყოფილიყო. იგი პოლიფუნქციურია, აწარმოებს კაუზატივსაც (ათქმევს, ათქმევენებს).

როინ ჭიკაძე (თელავი)

### **ზმნის დრო-კილოთა და დროის ზმნიზედის ურთიერთმიმართებების საკითხისათვის (კახური დიალექტის ტექსტების მიხედვით)**

ზმნის დრო-კილოთა და დროის ზმნიზედათა ურთიერთმიმართებისას ყურადღებას იქცევს ზმნიზედა „მერე“, რომელიც როგორც წინადადების წევრი, დროის გარემოებაა, ხოლო გაბმული მეტყველების ტექსტში გამოიყენება მიერთებითი კავშირის ფუნქციით. ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დებულების ჭეშმარიტებას, რომ „ნებისმიერი ენობრივი ფუნქცია დგინდება და რეალურად არსებობს მხოლოდ და მხოლოდ კონტექსტში“ (ბ. ჯორბენაძე).

საკითხის შესასწავლად ვყარდნობით კახური დიალექტის ტექსტობრივ მასალას.

„მერე“-ს შემცველ ტექსტებში აღსანიშნავია ზმნა-შემასმენლების დრო-კილოთა თანამიმდევრობა; კერძოდ: მომხდარი ამბის **შედგის** საჩვენებლად „მერე“-სთან ერთად გამოიყენება ზმნა-შემასმენელთა **ნამყო წყვეტილი** და **თურმეობითები**:

**მერე ადგენს, გააღეს** ქვაბი და **გააცოცხლეს** ი ბიჭი...

**მერე** ცოლებიც **მოუყვანიათ** და **მერე გაყრილან**...

**მერე** ცოლი **მოაძვდემოდა** მამაჩემს და ბალღი **დააძრწომოდა**...

მოქმედების **ინტენსივობასა** და **პრაგმატული** ზნისობას გადმოგვცემს

„მერე“-ს მიმყოლი შემდეგი ნაკვთები: ე. წ. „**ზოგადი აწყო**“;

**მყოფადი, ხოლმეობითი** და **I თურმეობითი**:

**მერე დგანან** ქალები და **ჰგვიან** კალოს...

**მერე** საკალოე ადგილი **გაიგვება, მაირწყვება** და **გადაიგვება**...

**მერე** მეძნეური **გაიკეთებს** ულომ... **მერმე მომკიან** და

**გააღწეწამენ**...

**მერე მოვიტანდით** მოსავალსა... **შავხვეტამდით**... **შავაქურბდით**

და **გავლწამდით**...

**მერე**... **უტენიათ** ტყე და **უჩენიათ**...


კახური დიალექტის მასალაზე დაკვირვებით გამოირკვა, რომ

დროის ზმნიზედა „მერე“ თხრობით ტექსტში უმთავრესად აღნიშნავს

არა კონკრეტულ დროს, არამედ თანამონაწილე ზმნა-შემასმენლებთან

ერთად გვიჩვენებს წინამავალი ამბის შედეგს, ანდა მოქმედების პრო-

ცესის თანამიმდევრობასა და ინტენსივობას; საამისოდ გამოიყენება დრო-კილოთა შემდეგი ნაკვებები:



**რო ე ნ ა ჭ კ ა დ უ ა** (თბილისი)

**ერთი ტიპის სტატიკურ ზმნათა წარმოებისათვის სვანურში**

სვანური ენის დიალექტებში დღემდე შემორჩენილია რიგი არქაული ფორმებისა, რომელთაც ფუძის გაუფორმებლობა და სტატიკური მნიშვნელობა ახასიათებს.

არნ. ჩიჭობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში აღმოჩნდა ყოფილი თანამშრომლის ალ. დავითიანის ხელნაწერი „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“, სადაც ანბანთრიგზე დალაგებულია 184 ერთეული (წერილი დაიბეჭდა კრებულში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, 2008). ავტორის აზრით, „ესაა ზუსტი შედარების სიტყვები, რომლებსაც ობიექტის გარშემო სუბიექტის წარმოდგენა ქმნის. ხშირ შემთხვევაში კი ხმაბადვით დახასიათებასაც შეიცავს“ (დავითიანი, იკე, XXVI) მაგ. **გუიორ** „დიდთავიანი, ჩასუქებული ადამიანი დგას“ (ასე იტყვიან მელოტ-ზეც); **ფრიოთ** „ფართოყურბიანი ადამიანი ან ცხოველი“; **ჭღუიორ** „მოქუფრული, მოჭლურული დგას“; **გით** „კისერაწეული დგას“; **ტიტ** „ფეხშიშველა დგას“ და ა. შ.

სათანადო ყურადღება მიაქცია ამ ტიპის ლექსემებს ზ. ჭუმბურიძემ თავის მონოგრაფიაში „მყოფადი ქართველურ ენებში“. მეცნიერი მათ ნულსუფიქსიანი სტატიკური ზმნების კვალიფიკაციას აძლევს და რადგანაც ეს ფორმები სავნის ნიშან-თვისების ხაზგასმასთან ერ-

თად, ზოგადად, მყოფობა-არსებობას გამოხატავენ, მკვლევარი მათ შემდეგნაირად თარგმნის: **გლიოუ** „ბრიყვულად ზის (ან დგას)“; **ზიკ** „უშნოდ აგღია (ან ზის)“ და ა. შ.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ზმნების ზუსტი თარგმნა საკმაოდ ძნელია და მეტწილად აღწერილად გადმოიცემა მათი მნიშვნელობა.

ბალსზემოურ დიალექტში ნულსუფიქსიანი ლექსემების პარალელურად გვხვდება **-ი** ბოლოსართიანი ფორმები ფუძისეული ხმოვნის გადაბგერებით: ბქ. **ბრიგ**, ბზ. **ბრეგ-ი**; ბქ. **თიგ**, ბზ. **თეგ-ი**; ბქ. **გლიჯ**, ბზ. **გლეჯ-ი** და ა. შ.

შემოთგანხილული არქაული ზმნები იმითაც არის საყურადღებო, რომ სვანურის თითქმის ყველა დიალექტში ხდება ამ ფორმათა წარმოება სტატიკური შინაარსით. კერძოდ, ისინი წარმოდგენილია **ი- — -წლ... || ი- — -ელ...** ყალიბით. აღნიშნული ყალიბიანი ზმნების ერთ-ერთ მნიშვნელობად სვანურში სწორედ სტატიკურობასაც მიიჩნევენ. სამეცნიერო ლიტერატურაში **-წლ... || -ი-ელ...** სუფიქსები ქართული **-ობ-**თან არის შედარებული (ახალ ქართულში **-ობ** სტატიკურობის ერთ-ერთ ძირითად მაწარმოებლად არის მიჩნეული) და მითითებულია რომ „...სვანურში სტატიკურობაზე ხაზგასმას სწორედ ეს აფიქსები უნდა კისრულობდნენ (კლ. გაგუა, იკე, XXVII, 1988).

მიუხედავად ძირითადი მნიშვნელობისა და სტატიკური ნიუანსის შენარჩუნებისა, აღნიშნული ყალიბიანი ფორმები მოძრაობასაც გამოხატავენ:

**ბრიგ** „უშნოდ დგას“, **ი-ბრიგ-ან-წლ...** „აქეთ-იქით უშნოდ დაიარება“

**თიგ** „ერთ ადგილას დგას“, **ი-თიგ-ან-წლ** „აქეთ-იქით მოუსვენრობს“

**ხით** „ნემისივთ არჭვია **ი-ხით-ან-წლ...**

**ბიჩხ** „ფეხშიშველა, უშნოდ ზის“ **ი-ბიჩხ-ან-წლ...** „ფეხშიშველა დაფართვუნობს“.

**ზლიყ** „დიდი ტანის ადამიანი უშნოდ დგას“ **ი-ზლიყ-ან-წლ...**

**ი- — -წლ || ი- — -იელ** ყალიბიანი ზმნები იუღლებიან აწმყოსეული დროების მიხედვით და შეიძლება **ლა-** ზმნისწინის დართვით წარსულის გაგებაც გადმოსცეს: **ლა-ი-ბრიც-ან-ალ** „წაიბრიქა“, **ლა-ი-ფლიფ-ან-ალ**, **ლა-ი-დლიჭკ-ან-ალ** „წაიკრიჭა“ და ა. შ.

**ი- — -წლ...** ყალიბიან აბსოლუტურ ზმნებს საპირისპირო რელატიური **ხ-ე — -წლ...** ფორმებიც აქვთ.

საგულისხმოა, რომ გაუფორმებელი ლექსემები გვხვდება ფუძედრეკად ზმნებშიც და არა მხოლოდ: ბგდ „ასხია“ || **ხ-ა-ბიდ; ტის** „დაბურნებულია“; **ცჷირ** „დატოვებულია“; **სიდ** „დარჩენილია“ **ტჷარ** „ანთია“ || **ხ-ა-ტჷარ** || **ხ-ა-ტჷრ-ა; კჷარ** „ავდია“ || **ხ-ა-კჷრ-ა**.

გარდა აღნიშნული ყალიბიანი ფორმებისა აფიქსთა საშუალებით სხვადასხვა ზმნური ფორმები წარმოიქმნება:

**ელიბ** „პირდაბჩენილი დგას“, **ხ-ა-ელიბ** „პირდაბჩენილი მი-სჩერებია“, **ხ-ო-ელიბ-ან-ე** „რალაცას ელოდება პირდაღებული“, **ა-ეგლბ-გნ-ე** „მოუთმენლად დგას“

**გლიბ, ხ-ა-გლიბ, ხ-ო-გლიბ-ან-ე, ა-გგლბ-გნ-ე...**

ზემოთგანხილული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს არნ. ჩიქობავას მოსაზრებას, რომ სტატიკური ზმნები უძველესი ფორმაციისა, იმ დროინდელი, როდესაც „ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან“ და სტატიკურ ზმნათა ფორმაწარმოების სტანდარტების შემუშავება ახალა ხდება.

სვანურში ერთმანეთის პარალელურად გვაქვს სტატიკური მნიშვნელობის უძველესი ზმნური ფორმები და თანამედროვე მოქმედი პროდუქტიული ყალიბის სტატიკურები, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ არქაული ფორმები ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში ნაკლებად გვხვდება.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე (თბილისი)

### მარტივი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები გარეკახურში

(სართიჭალური გარეკახური თქმის მიხედვით)

სართიჭალურ გარეკახურში ფართოდაა გავრცელებული ფუძის მარტივი გაორკეცებით წარმოქმნილი კომპოზიტები, რომელთაგან 1. უმეტესი ნაწილი სალიტერატურო ენაში გამოვლენილ კომპოზიტებთან თანხვედრობა მაგ., **ბუტბუტი, რატრათი, კაწკაწი, ვარვარი, რიკრიკი, ზიმზიმი...** 2. ნაწილი კი ფონეტიკურად შეცვლილია, შეიმჩნევა სემანტიკური განსხვავებაც **საქსაქი — სიქსაქი, ლივლივი — ლავლავი, ლაბლაბი — ლიბლიბი, ხასხასი — ხაჩხაჩი, თუნთუნი —**

**თლუნთლუნი, ლაფლაფი — ლოფლოფი...** 3. ზოგი ამგვარი კომპოზიტის ფუძე საერთოქართველური ენის დონემდის ადის, მაგ., ა) **ჭუ-პჭუბი:** ჭუპჭუბებს 1. ქონში ლიბლიბებს, ცხიმიანია; 2. ქაფს მოიგდებს. კერძი შევინახეთ, მაგრამ აჭუპჭუბდა, გადასაღვრელია. ვფიქრობთ, რომ **ჭუპჭუბი ← ჭიპჭიბი** (ქიზ.). ← **ჭიმჭიმი** (ალგ. ქართლ.); **ჭიმ-** ფუძე გამოიყოფა ძვ. ქართულისა და დიალექტებიდან ცნობილ სიტყვაში **ჭიმური** „ერბოში ჩაფშვნილი პური ან მჭადი“. ჭიმ-ს კი კანონზომიერად შეესატყვისება სვანურის ერბოს აღმნიშვნელი **ჭჷან**.

ბ) **ტყარტყარი: ატყარტყარდება** სიბრაზისაგან ან სირცხვილისაგან გაწითლდება. მიგვაჩნია, რომ **ტყარტყარი ← ტარტყარი**. ყ განვითარებული ჩანს. **ტარ-**ს კი კანონზომიერად შეესატყვისება სვანურის ანთების შინაარსის **ტურ-: ატურე** ატურე ანთებს. **ცაკცაკა: ცაკცაკებს** — მოკლე ნაბიჯებით დადის. მეგრ. ცაკ-ალი (ლ. სანიკიძე).

4. რიგ შემთხვევაში ამოსავალი მარტივი ფუძე დამოუკიდებლადაც დასტურდება. **შურშური: აშურშურებს** საქმეს აჩქარებით, უგულოდ აკეთებს. შდრ. **ეშურება** ეჩქარება (თუშური). **ბატბატი: ბატბატებს** ულაზათოდ, რწევით დადის. შდრ. აბოტებს დიდი ნაბიჯებით დადის.

**ტაბტაბი — ტაბტაბებს** — მაგრად, ქუსლით ადგამს ფეხს. შდრ. ტოპავს დიდის წყალში, ლაფში.

**ხუსხუსი: ხუსხუსებს** სწრაფად დადის. ვფიქრობთ **ხუსხუსი ← ქუსქუსი. ქუსი(ი)**— კი იგივე უნდა იყოს რაც **გაქუსლავს — მოკურცხლავს**.

**ჟიკჟიკა** ლამაზი წვრილყვავილიანი მატერია. **ჟიკჟიკა ← ზიკ-ზიკა** „მორთული, მოკაზმული“. შდრ. ძვ. ქართ. **ზიკი** ლერწამი ქსოვილი (ლ. სანიკიძე).

5) ზოგ მათგანს უფრო ფესვები ეძებნება **ზვივზვივ** ძლივძლივ საჭმელი **ზვივზვივ** ეყოთ. შდრ. **ზუზივ + ზუზ** წარმომავლობით უნდა უკავშირდებოდეს ასურულის მონეტას, გრომის აღმნიშვნელ zūza-ს. იშვიათად შეიძლება ფორმით ქართული კომპოზიტის მსგავსი სიტყვა ნასესხები აღმოჩნდეს. მაგ.: **მურმური: მურმურებს** ჩუმად ბუზლუნებს. შდრ. სრ. mēmēr; **დალდალი: დალდალებს** — ცუდად ხმაურობს. შდრ. თურქ. daydaya.

## ნი ნ ო ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

### ერთი ზმნური და სახელური ძირის ურთიერთმიმართებისათვის

ქართულ (და არა მარტო ქართულ) საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა განხილული „არსებობა-მდგომარეობის“, „ქონა-ყოლის“ და „მოძრაობის“ ზოგიერთი ზმნური და სახელური (ნაცვალ-სახელური) ფუძეების საერთო ძირზე დაყვანის პრობლემა.

მასალობრივი და სემანტიკური მომენტების გათვალისწინებით ივარაუდება, რომ ძირეული მასალა [გ], [რ], [ვ] ზმნურ ძირებსა და ნაცვალსახელებში საერთოა; კერძოდ: [გ]: ჰ-გ-იეს, ე-გ-ო — ი-გ-ი, ე-გ-ე; [რ]: ა-რ-ს — რ-ა; [ვ]: უ-ვი-ს — ვი-ნ... (ა. არაბული, ე. ოსიძე, მ. ქურდიანი).

ვფიქრობთ, შესაძლებელია ამ თვალსაზრისით ძვ. ქართ. **ესუა** („ჰყავდა“) ზმნისა და **ესე, ისი** ნაცვალსახელების ძირეული ელემენტების ურთიერთმიმართების საკითხის დასმაც.

## მ ზ ი ა ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი (ბათუმი)

### ზმნის ზოგიერთი თავისებურება ქობულეთურ

#### კილოკავში

(მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით)

1. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მკვლევარები აჭარულ დიალექტში გამოყოფენ: ზემოაჭარულ, ქვემოაჭარულ და ქობულეთურ კილოკავებს. ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების სათანადო ანალიზი მნიშვნელოვანი მასალაა ქობულეთური მეტყველების ცალკე კილოკავად გამოყოფისათვის. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას შემოუნახავს ბევრი ისეთი ნიშანი, რომელიც დღეს აღარ დასტურდება. ამიტომაც მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისათვისაც.

2. ქობულეთურ მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ იგი ენობრივ-დიალექტოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება როგორც ზემო აჭარულისაგან, ისე ქვემოაჭარულისაგან. საყურადღებოა ის სპეციფიკური მოვლენები, რომლებიც ნიშანდობლივია მხოლოდ ქობულეთურისთვის. მოხსენებაში მხოლოდ პირის ნიშანთა ხმარებაზე შევჩერდებით.

3. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ქობულეთურისთვისაა ნიშანდობლივი ზმნური ფორმები, რომლებშიც **S<sub>I</sub>** პირის ნიშნები არ დასტურდება (მიალ, მუალ; უბნები „ვეუბნები“).

4. ქობულეთურში ზმნური ფორმებისათვის დამახასიათებელია პირის ნიშანთა მოჭარბებული ხმარება (დასწერვიდა; გაჰყიდი; შემოსჰამია; მოსჰრიდა; წამოსწია).

5. ქობულეთურისთვის ტიპურია სპირანტ **ჰ**-ს ადგილას **ხ**-ს ხმარება, ეს იმ შემთხვევაშიც, როცა **ხ**- მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია. კერძოდ **S<sub>II</sub>** და **O<sub>III</sub>** პირის აფიქსია: წახევი; ხავდა; ამოხავს; ხოლია.

6. ქობულეთურში ნამყო ძირითადად და ნამყო უსრულში **S<sub>III</sub>** პირის მრავლობითობის გამოსახატავად დასტურდება -ეს (დაჟდეს; მოვდეს; ჩივოდეს; დეგვეკითხებოდეს)

7. მხოლობითი რიცხვის **S<sub>III</sub>** პირის ნიშნად ნამყო ძირითადში **-ა** დასტურდება (მუასტრა; იცნა).

## ნი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე (თბილისი)

### საშუალო გვარის ზმნები ქართული ენის დიალექტებში

სალიტერატურო ქართულში საშუალო გვარის ზმნები თემის წარმოების მიხედვით ექვს ჯგუფად შეიძლება გავანაწილოთ; ესენია:

1. **-ებ თემისნიშნანი ფორმები:** ჰიკჰიკებს, ხარხარებს, ფარფატებს, ჰანჰყარებს, კაკანებს, ჩიჯლინებს, ბრჰყვიალებს, მოქმედებს, ამოქნარებს;
2. **-ობ თემისნიშნანი ზმნები:** ლაპარაკობს, დარაჯობს, ლოცულობს, ცურაობს;

3. **-ავ თემისნიშნით ნაწარმოები ფორმები:** *ცურავს, ყინავს, სძინავს;*
4. **-ი თემისნიშნით:** *მიღის, კოცნის, ბარდნის;*
5. **უთემისნიშნო ფორმები:** ა) აწმყოში -ი გახმოვანებით: *ზის, ქრის, მღერის, ბზუის, იცინის, ეძახის, იძახის;* ბ) აწმყოში გაუხმოვანებელი: *წევს, თოვს, ახსოვს, უყვარს;*

ქართული ენის დიალექტებში ყველა აღნიშნული წარმოება დადასტურებულია; ამასთან, გვხვდება როგორც სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელი (საერთოქართველური), ისე საკუთრივ დიალექტური ფორმები. ამ უკანასკნელთაგან შეიძლება დავასახელოთ:

1. **-ებ (>-ფ) თემისნიშნის ზმნები:** *ჟიკჟიკებს, ჟრიკჟრიკებს, ტატყანებს, ბარდლალებს, აკვარკვალებს, აძანძვალებს;*
2. **-ობ (>-ოფ) თემისნიშნის ფორმები:** *მღერობს, ყურობს, ცინციხოფს, ლლიცინობს, ფოთარობს, ყუყუნობს, ღრუღუნოფს, ფხაკუროფს, ჭყამპალოფს, ყურჭუმალოფს, ხოლიხოფს, ფორიალოფს, ფრინაობს;*
3. **-ავ თემისნიშნით ნაწარმოები ზმნები:** *კრინცხავს, ჟინჟლავს, ჟრინავს, ფთხვინავს, ფიფქავს, ქირსლავს, ღვაფავს, ხომკაკლავს, ხრხოლავს, ს-წერავ;*
4. **-ი თემისნიშნის იმღერის;**
5. **ფუძედრეკადი ფორმები:** *იგვლევს (გლოვობს);*
6. **უთემისნიშნო ზმნები:** *ჩინს (ჩანს);*

აღსანიშნავია, რომ დიალექტური ვარიანტების შესაბამისი (ფუძე-სტრუქტურითა და სემანტიკით) სალიტერატურო ფორმები ხშირად სხვა თემისნიშნით (ან უთემისნიშნოდ) იწარმოება (შდრ.: **მღერობს — მღერის; ღრუღუნობს — ღრუღუნებს; კრთუნამს — კრთის; იგვლევს — გლოვობს**); ზოგჯერ კი მათ შორის გვარის მიხედვითაც არის სხვაობა (*სწერავ — სწერა*).

იკვეთება გარკვეული კანონზომიერებაც: **-ებ** და, განსაკუთრებით, **-ობ** თემისნიშნის ფორმების (როგორც წესი, პირველადი მას-დარებისაგან ნაწარმოები; უმეტესად, ფუძეგაორკეცებული) სიჭარბე უფრო დასავლური დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი; აღმოსავლურ (მთის) დიალექტებში, როგორც არაერთხელ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, **-ავ** თემისნიშნის ფორმების (სალიტერატურო ენის **-ია**-ზე დაბოლოებული სტატიკური ზმნების შესაბამისი) სიხშირე იქცევა ყურადღებას. ამ პროცესებზე გავლენა საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის განსხვავებულ ხასიათსა და ზნე-ჩვეულებებსაც უნდა მოეხდინა.